შინმოვლის პროგრამამ ფუნქციონირება დაიწყო

გვ. 2

მიმდინარე და შეჩერებული სამუშაოები ფოთში

გვ. 2

ჯეოპარდი ფოთელი

ფასი 50 თეთრი № 15 20 - 27 ივნისი 2016 წელი\ გამოდის სამშაბათობით

საქართველოს პედაგოგთა პროფკავშირმა ფოთელ მასწავლებლებს საგამოცდო გადამზადების ტრენინგები ჩაუტარა

გვ. 2

ვინ მოაბრუნებს პორტს ქალაქისკენ?..

საარჩევნო მარათონი იწყება

გვ. 3

ქალთა შრომითი უფლებების დაცვა კვლავ რჩება სერიოზული კრიტიკის საგნად

გვ. 3

ნუნუ ჭელიძე: „ჩემთვის ბიბლიოთეკა მეორე სახლია„

გვ. 5

ფოთელების მოსაზრება არჩევნებთან დაკავშირებით

გვ. 6

რაგბი - ყველაზე დიდი გატაცება

გვ. 7

პორტის განვითარება თუ მორიგი მონოპოლია?

4000 ადამიანს უმუშევრობა ემუქრება

ივეტა პაჭკორია
ფოთი

ფოთში 16 გადამზიდავ საკონტეინერო ტერმინალებს უფუნქციოდ დარჩენა, ხოლო 4000-ზე მეტ თანამშრომელს სამუშაო ადგილების დაკარგვა ემუქრებათ. ფოთის პორტის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით, 1 ივლისიდან ფოთში შემოსული ყველა კონტეინერი შევა და გაიცემა მხოლოდ „Iჩთ"-ის სახმელეთო-საკონტეინერო ტერმინალიდან, რომელიც სპეციალურად ამ მომსახურეებისათვის შექმნა პორტმა.

პორტის მესვეურების ეს გადაწყვეტილება გადამზიდავ კომპანიებში დასაქმებულებმა და მათი ოჯახის წევრებმა 14 ივნისს გამაფრთხილებელი აქციით გააპროტესტეს.

გამაფრთხილებელი აქციის პარალელურად,გადამზიდავი კომპანიების წარმომადგენლებმა საჩივრით მიმართეს კონკურენციის სააგენტოს. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, სააგენტოში გადამზიდავების საჩივარს უკვე სწავლობენ და შესაძლოა, სასამართლოსაც გადასცენ. იმ შეემთხვევაში, თუ მონოპოლიზაციის საფრთხე იარსებებს, სადავო კანონი ძალაში არ შევა. ასევე ჩვენთვის გახდა ცნობილი, რომ შესაძლოა ტერმინალებმა ახალ წლამდე გააგრძელონ მუშაობა.

ამ საკითხთან დაკავშირებით, მოგვიანებით ეკონომიკის მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმაც გააკეთა განცხადება: "აღნიშნულზე შეიძლება, სავარაუდოდ, სასამართლოც გაიმართოს. თუ სასამართლო გადაწყვეტს, რომ მონოპოლიის საფრთხე არსებობს, ამას არ დავუშვებთ. თუ იტყვის, რომ ეს არ არის მონოპოლია და ყველა მოთამაშის ინტერესი იქნება დაცული, ეს იქნება ჩვენი მიზანი და ამოცანა" – ასეთი გახლდათ მინისტრის კომენტარი ამ საკითხზე.

ბოლო ოცი წლის განმავლობაში, საქართველოში, კერძოდ ფოთში, საზღვაო-საკონტეინერო ხაზებთან ექსკლუზიურად მომუშავე ფართო ლოჯისტიკური ქსელი ჩამოყალიბდა, შეიქმნა ახალი ბიზნეს მიმართულება, კეთილმოეწყო საბაჟო-სატერმინალო ტერიტორიები, შეიძინეს მრავალპროფილიანი ტექნიკა, შეიქმნა დამატებითი სამუშაო ადგილები. როგორც ცნობილია, ამ კონკრეტული დარგის განვითარებისთვის, ქართული კომპანიების მიერ განხორციელებულია 100 მლ აშშ დოლარის ინვესტიცია. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ სფეროში დასაქმებულთა რიცხვი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 5000-ზე მეტია, ეს უშუალოდ ინდუსტრიაში, მაგრამ თან მიბმული მომსახურებისათვის დამატებით შეიქმნა კიდევ 1000 სამუშაო ადგილი. იმ პერიოდში, როდესაც "ეი პი ემ" ტერმინალმა შეისყიდა ფოთის პორტი, გადამზიდავებს იმედი მიეცათ, რომ მოწესრიგდებოდა საკონტეინერო გემების ნავმისადგომი მაინც, თუმცა ყველაფერი სხვაგვარად მოხდა. "ეი პი ემ" ტერმინალმა ააშენა საკონტეინერო ტერმინალი არსებული ლოჯისტიკური ქსელის ჩანაცვლების მიზნით.

როგორც სატერმინალო მომსახურების კომპანიებში დასაქმებულები ამბობენ, უკვე რამდენიმე წელია, ასეთ გაურკვეველ მდგომარეობაში იმყოფებიან: „ჯერ კიდევ 2011 წლიდან, წინა მთავრობამ ექსკლუზიური უფლება მისცა ფოთის პორტს, რომ მსუბუქი ავტომობილებით დატვირთული კონტეინერების სატერმინალო დამუშავება მოხდებოდა მხოლოდ პორტის მიერ დაფუძნებულ ტერმინალში. ამის გამო მაშინ დაახლოებით 700 ადამიანმა დაკარგა სამუშაო, ხოლო ტერმინალებმა სოლიდური შემოსავლები. ეს

დასასრული 4- გვ.

ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲓᲘᲠᲔᲥᲢᲝᲠᲘ, ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲘᲜᲒᲐ ᲒᲕᲐᲡᲐᲚᲘᲐ - 599 341 417;
ᲘᲜᲒᲐᲒᲕᲐᲡᲐᲚᲘᲐ ᲒᲛᲐᲘᲚ.ᲪᲝᲛ

ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ᲘᲕᲔᲢᲐ ᲪᲐᲯᲙᲝᲠᲘᲐ - 568 61 04 41

ᲓᲘᲡᲢᲠᲘᲑᲣᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘ
ᲛᲐᲠᲘ ᲐᲚᲘᲮᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ 551 122 570-
ᲙᲝᲠᲔᲡ�პᲝᲜᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘ:

ᲛᲐᲠᲘᲐᲛ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲐ - 579 241 122

ᲜᲐᲜᲣᲙᲐ ᲫᲐᲯᲐᲘᲐ (ᲤᲝᲗᲘ) 571 323 539

ᲘᲕᲔᲢᲐ ᲪᲐᲯᲙᲝᲠᲘᲐ (ᲮᲝᲑᲘ) 568 61 04 41

ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲘᲡ ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲔᲛᲗᲮᲕᲔᲝᲓᲔᲡ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲡᲐᲖᲠᲘᲡᲘᲡ. ᲡᲢᲐᲢᲘᲘᲡ ᲐᲕᲢᲝᲠᲔᲑᲘ ᲗᲐᲕᲐᲓ ᲐᲑᲔᲑᲔᲜ ᲞᲐᲡᲣᲮᲡ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲘᲖᲣᲡᲢᲔᲖᲔ. ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲐᲨᲘ ᲐᲣᲓᲘᲝ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘ ᲘᲜᲐᲮᲔᲑᲐ ᲝᲠᲘ ᲙᲕᲘᲠᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ, ᲐᲛ ᲕᲐᲓᲘᲡ ᲒᲐᲡᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲔᲓᲒᲔ ᲞᲠᲔᲢᲔᲜᲖᲘᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲐ.

ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲐᲡᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲑᲔᲭᲓᲕᲐ ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲨᲔ ᲐᲙᲠᲫᲐᲚᲣᲚᲘᲐ.

2014 წლის ბოლოდან 20 %-ით გაუფასურდა ეროვნული ვალუტა

როგორც ეროვნული ბანკის პრეზიდენტი გიორგი ქადაგიძე აცხადებს ვალუტის კურსის ვარდნა მყარია.

და ზღრულ ნიშნულს არ ცილდება. გასულ წელს 23 %-ით გაიზარდა ქვეყნის მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობა. ერქპერტების აზრით მთავრობა ზედმეტ ფულს ბეჭდავს, რაც ინფლაციის მიზეზია. მიმდინარე წლის იანვარში დოლარის მიმართ ლარის კურსი ყოველდღიურად იცვლება და მაღლა მიიწევს. ბოლო დღეების მონაცემებით ერთი ამერიკული დოლარი - 2.4 ლარზე მეტია, ერთი ევრო - 2,7 ლარი, ერთი თურქული ლირა - 0,78 ლარი.

ᲨᲘᲜᲛᲝᲕᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐᲛ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲝᲜᲘᲠᲔᲑᲐ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ

ᲘᲕᲔᲢᲐ ᲪᲐᲯᲙᲝᲠᲘᲐ
ᲤᲝᲗᲘ

„სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრმა“, იგივე შინმოვლის პროგრამამ ფუნქციონირება დაიწყო. პროგრამა ითვალისწინებს მარტოხელა, მარტოდ მცხოვრები, საწოლს მიჯაჭვული ავადმყოფების ბინაზე მოვლას, როგორც სამედიცინო, ასევე სოციალური კუთხით. პირველი ეტაპისათვის ცენტრს მოემსახურება ორი ექიმი და 11 მედდა, რომლებიც სპეციალურად ამ პროგრამისათვის გადამზადნენ. პროგრამა მოიცავს სხვადასხვა მიმართულებას, კერძოდ საკვებისა და მედიკამენტის მიღებას, დაბანას, ჩაცმას, ტუალეტს, წნევის კონტროლს,ასევე ყოველდღიური ინსტრუმენტალურ აქტივობებს. პროექტის ავტორის, საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე მაია ჩხარტიშვილის აზრით დაუძლურებული და ლოგინს მიჯაჭვული ადამიანების რაოდენობამ ცენტრის გახსნის საჭიროება მოითხოვა, „ადრე თუ გვიან, მეტად თუ ნაკლებად ყველა ჩვენთაგანის წინაშე დგება ოჯახის წევრის თუ ახლობლის მოვლის საჭიროება“. ცენტრის დირექტორის ეკა ტუღუშის თქმით „ბენეფიციარების მოსაძიებლად მთელი ფოთი შემოვიარეთ, სიები ქალაქის ოთხივე მუნიციპალიტეტებმა მოგვაწოდა, რომელიც ძალიან ბევრი იყო, ჩვენი სურვილი კი იყო სოციალურად დაუცველი მარტოხელა ან მარტოდ მცხოვრები ბენეფეციარების პოვნა და პირველ რიგში მათი დახმარება. პირველი ეტაპისათვის შევარჩიეთ 25 ბენეფიციარი, თითო ექთანს 5-6 ბენეფიციარი ყავს. მიმაჩნია, რომ ამ პროექტით კეთილი საქმე გაკეთდა“. ტუღუშის თქმით ბევრი ლოგინს მიჯაჭვული მოხუცისათვის ეს პროგრამა იმედის ნაპერწკალია, ვისაც ფეხზე დგომა შეუძლია ფანჯარასთან მჯდომნი ექთნის მოლოდინში არიან. „ რამდენიმე ადგილას დაგვხვდა ისეთი სიტუაცია, რომ მწოლიარე ბენეფეციარი წამლის ვაუჩერის ასაღებად ვერ მიდის, ასეთ შემთხვევაში, ვაწერიებთ განცხადებას და ჩვენვე ვაწვდით კანცელარიას. ამასთანავე პირველადი მოხმარების წამლებით თავად ვამარაგებთ. ვახდენთ თანამშრომლების კონტროლს, ყოველ პარასკევს ვიბარებთ ანგარიშს. ახლო მომავალში ვაპირებ ადგილზე გადავამოწმოთ ექთნები და მათ მიერ ჩატარებული სამუშაოები“.

ერთერთი ექთნის სალომე ბაქრაძის თქმით პროგრამამ უკვე ძალიან დაახლოვა ბენეფიციარებთან, „მლოცავენ, თავიდან მეშინოდა, იქნებ არ მიმიღონ ბენეფეციარებმა მეთქი. ზოგიერთი საჭმელზე გვეპატიჟება, ჩვენს მოსვლას ელოდებიან და ცდილობენ როგორმე პატივისცემა გამოხატონ. ბენეფიციარებთან მათი მდგომარეობის მიხედვით დავდივართ ზოგთან ყოველ დღე, ზოგთან კვირაში ორჯერ. ზოგს წოლისაგან ძალიან მძიმე ნაწოლები აქვს გაჩენილი, ასეთ ავადმყოფებთან უფრო ხშირად გვიწევს მისვლა. უკვე მივეჩვიეთ და შეგვიყვარდა ჩვენი მოხუცები“.

პროექტის ხელმძღვანელების განმარტებით მეორე ეტაპისათვის ფასიან მომსახურებასაც გახსნიან, რადგან ამ მომსახურეობაზე ძალიან დიდი მოთხოვნა შემოდის.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲔᲓᲐ�გᲝᲒᲗᲐ ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲛᲐ ᲤᲝᲗᲔᲚ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲔᲑᲡ ᲡᲐᲒᲐᲛᲝᲪᲓᲝ ᲒᲐᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲢᲠᲔᲜᲘᲜᲒᲔᲑᲘ ᲩᲐᲣᲢᲐᲠᲐ

ᲛᲐᲠᲘ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲐ
ᲤᲝᲗᲘ

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალმა პროფკავშირმა უკვე თვეზე მეტია, დაიწყო მასწავლებელთა სასერთიფიკაციო გამოცდებისთვის გადამზადების უფასო ტრენინგები სხვადასხვა საგნებში. პროფწევრი პედაგოგების ტრენინგებს ცნობილი და პროფესიონალი ტრენერები უძღვებოდნენ. ამ ეტაპისთვის გადამზადების კურსი ქიმიასა და ქართულ ენასა და ლიტერატურაში 40-მდე პედაგოგმა გაიარა.

ტრენინგების პირველი ორდღიანი ტური ქიმიაში გაიმართა. ამჯერად კი ტრენინგი ქართულ ენასა და ლიტერატურაში მიმდინარეობდა. როგორც საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირების ფოთის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარე ინგა გვასალია განმარტავს, რამდენიმე თვის წინ, ყველა სკოლის პედაგოგს ჰქონდა საშუალება შეევსო სპეციალური ცხრილი, რომელ საგანში სურდათ საგამოცდოდ გადამზადება, რის შემდეგაც შეიკრიბა ჯგუფები და ყველაზე დიდი მოთხოვნა ქიმიის, ქართულ ენასა და მათემატიკის საგნებზე აღმოჩნდა. „ჩვენი ორგანიზაცია ყოველწლიურად მართავს პედაგოგებისთვის ტრენინგებს, ამით ხელს ვუწყობთ ჩვენ წევრ პედაგოგებს გამოცდებს მომზადებულები შეხვდნენ და გახდნენ სერთიფიცირებულები. ჩვენს ორგანიზაციაში არსებულ „საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებებში დასაქმებულთა პროფესიული განვითარების ცენტრს“ პროფესიონალ ტრენერთა საუკეთესო ჯგუფი ყავს“. ტრენინგებით კმაყოფილები დარჩნენ პედაგოგებიც. როგორც ისინი ამბობენ: „რამდენიმე ტრენინგ- სემინარებზე ვართ ნამყოფი, მაგრამ რაც ამ ტრენინგზე მივიღეთ ცოდნა და ინფორმაცია, შეიძლება თამამად ითქვას, ყველა იმ ტრენინგებზე ერთად არ მიგვიღია. ძალიან კმაყოფილი ვართ. მადლობა პროფკავშირს მსგავსი პროექტების განხორციელებისათვის და ასე რომ ზრუნავს თავის წევრებზე. სიმართლე გითხრათ, წამოსვლისას ვფიქრობდი, თუ არ მომეწონა, დავტოვებმეთქი, მაგრამ იმდენად მნიშვნელოვანი, საინტერესო და სასარგებლო იყო, რომ დატოვება კი არა, დიდი სურვილი მაქვს კიდევ გაგრძელდეს“.

როგორც გვასალია ამბობს ტრენინგების ციკლი გრძელდება და კვირის ბოლოს დაწყებითი კლასის პედაგოგები მათემატიკაში გაივლიან ტრენინგს

ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔ ᲓᲐ ᲨᲔᲩᲔᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘ ᲤᲝᲗᲨᲘ

ᲛᲐᲠᲘ ᲐᲚᲘᲮᲐᲜᲐᲨᲕᲘᲚᲘ
ᲤᲝᲗᲘ

ქალაქში მიმდინარე სამუშაოები ის თემაა, რომელიც აქტუალობას არადა არ კარგავს ჩვენს ქალაქში. ჩვენმა გაზეთმაც არა ერთხელ გაამახვილა ამაზე ყურადღება. ქალაქის ცენტრში, რკალზე რამდენიმე თვე რუსთაველის რკალის ტროტუარის კეთილმოწყობის სამუშაოები მიმდინარეობდა, მაგრამ სანახევროდ გაკეთებული ტროტუარების მოპირკეთების სამუშაო რამდენიმე კვირის განმავლობაში შეჩერებული გახლდათ. სამუშაოების შეჩერებას არ ადასტურებს მშენებლობის სამსახური, თუმცა, ცხადზე უცხადესია, რომ სამუშაოები არ მიმდინარეობდა. ინფრასტრუქტურის სამსახურში სამუშაოების დროებითი შეჩერება სამშენებლო მასალების უქონლობით ახსნეს და დაგვაიმედეს, მასალების ჩამოსვლისთანავე განახლდება. „მათ სექტემბრამდე აქვთ ვადა” - გვეუბნება სამსახურის უფროსი ზურაბ ჯამბურია. ცალკე საკითხავია, რატომ ეძლევა კომპანიას ამხელა დრო სამუშაოებისთვის და რატომ აქვს ამდენი ტენდერი მოგებული ერთ კომპანიას. აღნიშნულ სამუშაოებს აწარმოებს სპს „ენგინეერიგ სერვიცერ ცომპანყ”. სახელშეკრულებო თანხა 1.503.664,61 ლარს შეადგენს. იმავე შპს აწარმოებს მრავალბინიანი 62 საცხოვრებელი სახლის ეზოების კეთილმოწყობის სამუშაოებს,რომლის მთლიანი ღირებულება 1.596.235 ათას შეადგენს.

რაც შეეხება სტადიონის თემას, ჯამბურიას განმარტებით, ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა საკმარისი არ არის ტენდერის გამოსაცხადებლად დაელოდებიან თანხის დამატებას. ასევე საცხოვრებელ კორპუსებში მალთაყვის უბანსა და ქალაქის ცენტრში საკანალიზაციო მილებს ცვლიან. ჯამბურიას განმარტებით, მსგავსი სამუშაოები თითქმის დამთავრდა რუხაძისა და ჭყონდიდელის ქუჩაზე, ამჟამად მიმდინარეობს წმ. ნინოს 3 ნომერში.

რკინიგზის სადგურის მიმდებარე მოედანსა და ხიდზე ასფალტს აგებენ, რომელსაც ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს “პირამიდა-ფ.რ.-ს ფილიალი” ახორციელებს. სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 249, 998.82 ლარია გამოყოფილი. მიმდინარე სამუშაოები ივლისის თვეში დასრულდება. ასევე აღმაშენებლის ხიდის მოასფალტირება-მოპირკეთებაა გათვალისწინებული, მაგრამ ეს სამუშაოებიც შეჩერებულია. როგორც გავარკვიეთ, მიზეზი ბაზალტის ფილები გახლავთ, რომელსაც ახლო ხანში ელოდებიან. დაიდგმება ბოძები, დიოდური ნათურებით.

ასევე მიმდინარეობს ბინების შიდა საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოები. რომლის ღირებულება 588.690 ლარს შეადგენს. სამუშაოებს აწარმოებს შპს „ნიუმშენი”.

წელს ფოთში საზღვაო სეზონს განახლებული და განსხვავებული სანაპირო ზოლით შეხვედრას ველოდით, მაგრამ მოლოდინები ჯერჯერობით ვერ გამართლდა, სამუშაოები ბოლომდე არაა დასრულებული. სანაპირო ზოლსაც კომპანია „შპს პირამიდა ფ.რ-ს ფილიალი“ აკეთებს. ჯამბურიას განმარტებით: „პლაჟი იქნება პირველ რიგში დასუფთავებული და მისასვლელი გზები მოწესრიგებული. 1 500 მილიონ ლარიდან ჯერჯერობით 500 ათასია დახარჯული, გაიჭრა გზა, კეთდება განათება, სამაშველო კოშკურა, საშხაპე, გასახდელი, ფრენბურთის მოედანი, შუქი, გაზის შეყვანა შემდეგი ეტაპისთვისაა დაგეგმილი, ნელნელა აშენდება კაფე-ბარებიც, სანაყინეები. ყველაფერი იქნება”.

მისასალმებელია ის ფაქტი, რომ დაიწყო ნიკო ნიკოლაძის კოშკის, როგორც კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, რესტავრაცია - რეკონსტრუქცია. ნიკო ნიკოლაძის კოშკი წარმოადგენს ქალაქისათვის უძველეს და უმნიშვნელოვანეს ძეგლს, როგორც ისტორიული, ასევე არქიტექტურული ღირსებების გამო. კოშკის მე-5 სართულზე განთავსებული მექანიკური საათი ნიკოლაძემ 1870 წელს პარიზში დაამზადებინა.

ᲕᲘᲜ ᲛᲝᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲡ ᲞᲝᲠᲢᲡ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡᲙᲔᲜ?..

ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲛᲐᲠᲐᲗᲝᲜᲘ ᲘᲬᲧᲔᲑᲐ

ᲘᲕᲔᲢᲐ ᲞᲐᲭᲙᲝᲠᲘᲐ
ᲤᲝᲗᲘ

ᲡᲐᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲝ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲠᲐᲗᲝᲜᲘ ᲐᲥᲢᲘᲣᲠ ᲤᲐᲖᲐᲨᲘ ᲨᲔᲡᲕᲚᲘᲡ ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ, ᲤᲝᲗᲨᲘ ᲐᲠᲐᲜᲐᲘᲠᲘ ᲡᲐᲛᲖᲐᲓᲘᲡᲘᲐ ᲐᲠ ᲘᲒᲠᲫᲜᲝᲑᲐ. ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐᲢᲘᲣᲠᲐᲓ ᲐᲨᲣᲥᲔᲑᲡ ᲡᲮᲕᲐᲓᲐᲡᲮᲕᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲔᲑᲘᲡ ᲚᲘᲓᲔᲠᲗᲐ ᲛᲝᲡᲐᲖᲠᲔᲑᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲡ. ᲗᲣᲛᲪᲐ, ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲗᲐ ᲚᲘᲓᲔᲠᲗᲐ ᲗᲥᲛᲘᲗ, ᲯᲔᲠ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲨᲘᲓᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ. ᲛᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲚᲘᲓᲔᲠᲗᲐᲜ ᲒᲐᲡᲐᲣᲑᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲝᲛᲐᲕᲚᲝ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲖᲔ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲨᲔᲣᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ. ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘ ᲙᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲖᲔ ᲡᲐᲡᲐᲣᲑᲠᲝ ᲒᲕᲘᲗᲝᲛᲑᲝᲗ. „ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ" ᲤᲝᲗᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲚᲘᲓᲔᲠ, ᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲝᲜᲔᲠ ᲓᲐ ᲐᲛᲯᲐᲛᲐᲓ ᲤᲝᲗᲘᲡ ᲛᲔᲠ ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲙᲐᲙᲣᲚᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲨᲔᲣᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲐ. ᲬᲚᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲨᲘ,ᲩᲕᲔᲜᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲛᲣᲚ ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣᲨᲘ ᲛᲔᲠᲛᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲜᲐᲰᲔᲕᲠᲘ ᲨᲔᲯᲐᲛᲐ. ᲛᲐᲨᲘᲜ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲡᲐᲪ ᲨᲔᲔᲮᲝ. ᲙᲔᲠᲫᲝᲓ, ᲙᲘᲗᲮᲕᲐᲖᲔ „ᲐᲛᲓᲔᲜᲘ ᲓᲐᲞᲘᲠᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲣᲡᲠᲣᲚᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲤᲝᲜᲖᲔ, ᲗᲥᲕᲔᲜᲘ ᲘᲡᲔᲕ ᲐᲠᲩᲔᲕᲐ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘᲐ?" ᲞᲐᲡᲣᲮᲐᲓ ᲒᲕᲘᲗᲮᲠᲐ „ᲛᲔᲠᲬᲛᲣᲜᲔᲗ, ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲢᲘ ᲒᲐᲙᲔᲗᲓᲐ (ᲕᲘᲓᲠᲔ ᲓᲐᲞᲘᲠᲔᲑᲐ ᲘᲧᲝ), ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲘ ᲤᲠᲘᲐᲓ ᲒᲝᲜᲘᲔᲠᲘᲐ, ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲡ ᲮᲔᲓᲐᲕᲡ ᲓᲐ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲡ ᲐᲤᲐᲡᲔᲑᲡ". ᲕᲤᲘᲥᲠᲝᲑᲗ, ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲐ ᲐᲠ ᲨᲔᲪᲕᲚᲘᲚᲐ ᲓᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐᲖᲔᲐ ᲝᲠᲘᲔᲜᲢᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ. ᲔᲡ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲕᲘᲕᲐᲠᲐᲣᲓᲝᲓ, ᲠᲐᲓᲒᲐᲜ ᲓᲦᲔᲡ ᲠᲐᲡ ᲤᲘᲥᲠᲝᲑᲡ ᲓᲐ ᲠᲐ ᲡᲐᲛᲖᲐᲓᲘᲡᲘᲐ "ᲝᲪᲜᲔᲑᲐᲨᲘ" ᲒᲐᲣᲠᲙᲕᲔᲕᲔᲚᲘᲐ. ᲩᲕᲔᲜ ᲡᲐᲡᲐᲣᲑᲠᲝᲓ ᲕᲔᲠᲐᲕᲘᲜ ᲛᲝᲕᲘᲮᲔᲚᲗᲔᲗ, "ᲒᲐᲠᲔᲓᲐᲜ" ᲙᲘ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲘᲛᲘᲡ ᲓᲐᲜᲐᲮᲕᲐ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲝᲤᲘᲡᲨᲘ ᲠᲔᲛᲝᲜᲢᲘ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲝᲑᲡ ᲓᲐ ᲣᲑᲜᲔᲑᲨᲘ ᲨᲢᲐᲑᲔᲑᲡ ᲮᲡᲜᲘᲐᲜ. ᲙᲣᲚᲣᲐᲠᲔᲑᲨᲘ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲐᲛᲑᲝᲑᲡ, ᲤᲝᲗᲘᲡ ᲛᲐᲟᲝᲠᲘᲢᲐᲠᲐᲓ ᲐᲛᲟᲐᲛᲐᲓ ᲡᲐᲚᲝᲛᲔ ᲖᲣᲠᲐᲑᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲛᲝᲘᲐᲖᲠᲔᲑᲐ. ᲛᲝᲒᲔᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐᲗ, ᲘᲒᲘ ᲜᲘᲙᲝ ᲜᲘᲙᲝᲚᲐᲫᲘᲡ ᲨᲗᲐᲛᲛᲐᲕᲐᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲘᲪᲧᲕᲘᲐᲜ "ᲤᲔᲡᲕᲔᲑᲘ" ᲤᲝᲗᲨᲘ ᲣᲓᲔᲕᲡ. ᲗᲣ ᲙᲣᲚᲣᲐᲠᲣᲚᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ ᲡᲬᲝᲠᲘᲐ,ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲘᲥᲜᲔᲑ ᲛᲐᲜ ᲛᲐᲘᲜᲪ ᲛᲝᲐᲥᲪᲘᲝᲡ ᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲐ ᲓᲘᲓᲘ ᲬᲘᲜᲐᲞᲠᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲒᲐᲨᲔᲜᲔᲑᲣᲚ ᲡᲐᲞᲝᲠᲢᲝ ᲥᲐᲚᲐᲥᲡ.

ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚ ᲜᲝᲛᲔᲠᲡ ᲙᲘ „ᲞᲐᲢᲠᲘᲝᲢᲗᲐ ᲐᲚᲘᲐᲜᲡᲘᲡ" ᲑᲘᲣᲠᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲙᲠᲔᲑᲣᲚᲝᲡ ᲬᲔᲕᲠᲡ, ᲔᲥᲘᲛ ᲤᲠᲘᲓᲝᲜ ᲙᲕᲐᲠᲐᲪᲮᲔᲚᲘᲐᲡ ᲕᲣᲗᲛᲝᲑᲗ. ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲐᲜ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐ ᲩᲕᲔᲜᲗᲐᲜ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲨᲘ: „ᲯᲔᲠᲯᲔᲠᲝᲑᲘᲗ ᲤᲝᲠᲛᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲨᲘ ᲕᲐᲠᲗ. ᲤᲐᲠᲗᲝ ᲬᲘᲜᲐᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲐᲠ ᲓᲐᲒᲕᲘᲬᲧᲘᲐ. ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲣᲚᲘ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ ᲛᲝᲡᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘ, ᲗᲣᲛᲪᲐ ᲔᲡ ᲯᲔᲠ ᲐᲠ ᲩᲐᲜᲡ ᲮᲐᲚᲮᲨᲘ, ᲛᲝᲛᲔᲑᲜᲘᲚᲘ ᲒᲕᲧᲐᲕᲡ ᲣᲑᲜᲔᲑᲨᲘ ᲐᲥᲢᲘᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲘ ᲛᲘᲪᲔᲛᲣᲚᲘᲐ. ᲙᲕᲐᲠᲐᲪᲮᲔᲚᲘᲐ. ᲨᲔᲣᲫᲚᲔᲑᲔᲚᲘ ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲓᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲔᲡ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲐ ᲤᲝᲗᲨᲘ ᲜᲐᲙᲚᲔᲑᲐᲓ ᲘᲒᲠᲫᲜᲝᲑᲐ: „ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲓᲐ ᲕᲔᲢᲔᲠᲐᲜᲔᲑᲗᲐᲜ,ᲯᲝᲯᲣᲐᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲡᲗᲐᲜ, ᲙᲣᲙᲐᲕᲐᲡ, ᲙᲝᲙᲝ ᲒᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲓᲘᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲝᲜᲐᲚᲔᲑᲗᲐᲜ. ᲯᲔᲠᲯᲔᲠᲝᲑᲘᲗ ᲔᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲨᲔᲒᲔᲮᲛᲘᲐᲜᲔᲑᲘᲐᲜ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲒᲕᲐᲥᲕᲡ ᲓᲠᲝ. ᲤᲝᲗᲘ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲐ ᲓᲐ ᲨᲔᲕᲔᲮᲕᲓᲔᲑᲘᲗ" - ᲘᲛᲔᲓᲝᲕᲜᲔᲑᲡ ᲙᲕᲐᲠᲐᲪᲮᲔᲚᲘᲐ. ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲚᲝᲖᲣᲜᲒᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲛᲔ, ᲠᲝᲛᲚᲘᲗᲐᲪ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲓᲐᲣᲞᲘᲠᲘᲡᲞᲘᲠᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲐᲡ, ᲒᲐᲮᲚᲐᲕᲗ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲝᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲢᲐᲢᲣᲡᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲭᲔᲑᲐ ᲤᲝᲗᲘᲡᲗᲕᲘᲡ. „ᲥᲐᲚᲐᲥᲨᲘ ᲐᲛᲮᲔᲚᲐ ᲜᲐᲕᲡᲐᲓᲒᲣᲠᲘᲐ ᲓᲐ ᲛᲘᲬᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲡᲐᲮᲐᲓᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ,ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲡ ᲘᲮᲓᲘᲐᲜ. ᲤᲝᲗᲘᲡ ᲑᲘᲣᲯᲔᲢᲘ 13-14 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘᲗ ᲒᲐᲜᲘᲡᲐᲖᲦᲕᲠᲔᲑᲐ, ᲐᲥᲔᲓᲐᲜ ᲚᲝᲛᲘᲡ ᲬᲘᲚᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲤᲐᲡᲝ ᲚᲘ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘᲐ: „ᲛᲐᲠᲗᲐᲚᲘᲐ, ᲐᲓᲕᲘᲚᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲝᲪᲐ ᲜᲔᲑᲐ ᲐᲠᲘᲡ, ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲔᲑᲚᲝᲑᲐᲪ ᲐᲠᲘᲡ. ᲩᲔᲛᲘ ᲐᲖᲠᲘᲗ, ᲓᲦᲔᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲠᲐᲜᲐᲘᲠᲘ ᲠᲔᲐᲚᲣᲠᲘ ᲗᲕᲘᲗᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲐ ᲐᲠ ᲐᲠᲡᲔᲑᲝᲑᲡ. ᲔᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲘᲪᲕᲐᲚᲝᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚ ᲠᲘ�გᲨᲘ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲗᲕᲘᲗᲛᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲑᲐ ᲒᲐᲮᲓᲔᲑᲐ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲨᲔᲘᲪᲕᲚᲔᲑᲐ, ᲛᲝᲜᲐᲛᲓᲔ ᲐᲠᲪ ᲩᲕᲔᲜ ᲓᲐ ᲐᲠᲪ ᲡᲮᲕᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲔᲑᲡ ᲐᲠ ᲔᲨᲕᲔᲚᲔᲑᲐᲗ". ᲠᲐᲪ ᲨᲔᲔᲮᲔᲑᲐ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲨᲘ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲐᲜᲡᲡ, ᲡᲮᲕᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲡᲒᲐᲕᲡᲘᲐᲓ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲓᲐᲕᲐᲚᲔᲑᲘ ᲛᲘᲪᲔᲛᲣᲚᲘᲐ. ᲛᲔ ᲔᲥᲘᲛᲘ ᲕᲐᲠ ᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲐᲖᲔ ᲐᲠ ᲛᲐᲥᲕᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲐᲒᲔᲑᲣᲚᲘ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲩᲔᲛᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲙᲔᲗᲔᲡᲐᲓ ᲛᲘᲛᲐᲩᲜᲘᲐ ᲧᲝᲤᲜᲐ, ᲘᲥ ᲕᲐᲠ. ᲡᲮᲕᲐᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ,ᲝᲪᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲢᲐᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲛᲯᲓᲝᲛᲐᲠᲔ ᲕᲘᲧᲐᲕᲘ ᲤᲝᲗᲨᲘ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲨᲘ ᲛᲝᲕᲘᲒᲔᲗ ᲓᲐ ᲘᲐᲜᲕᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲘᲥ ᲐᲠ ᲛᲘᲕᲡᲣᲚᲕᲐᲠ. ᲛᲐᲠᲗᲝ ᲝᲠᲘ ᲗᲕᲔ ᲒᲐᲕᲩᲔᲠᲓᲘ". ᲠᲐᲢᲝ ᲒᲐᲩᲔᲠᲓᲐ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲝᲠᲘ ᲗᲕᲔ ᲐᲛᲐᲖᲔ ᲐᲛᲐᲡ ᲐᲛᲯᲔᲠᲐᲓᲐᲪ ᲐᲠ ᲐᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲔᲑᲡ ᲓᲐ ᲒᲕᲘᲠᲩᲘᲐ ᲗᲐᲕᲐᲓ ᲒᲐᲒᲕᲔᲙᲔᲗᲔᲑᲘᲐ ᲕᲐᲠᲐᲣᲓᲔᲑᲘ.



ᲧᲕᲔᲚᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲡ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲖᲔ ᲛᲝᲒᲔᲑᲘᲡ ᲘᲛᲔᲓᲘ ᲐᲥᲕᲡ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲑᲠᲫᲔᲜᲘ ᲞᲘᲠᲜᲘ ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ, "ᲬᲘᲬᲘᲚᲔᲑᲡ ᲨᲔᲛᲝᲛᲓᲒᲝᲛᲐᲖᲔ ᲘᲗᲕᲚᲘᲐᲜ".

ᲥᲐᲚᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲣᲤᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲪᲕᲐ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲠᲩᲔᲑᲐ ᲡᲔᲠᲘᲝᲖᲣᲚᲘ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲒᲜᲐᲓ

ᲘᲜᲒᲐ ᲒᲕᲐᲡᲐᲚᲘᲐ
ᲤᲝᲗᲘ

ᲓᲐᲡᲐᲥᲛᲔᲑᲣᲚ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲗ ᲣᲤᲚᲔᲑᲔᲑᲡ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲔᲑᲠᲘᲕᲐᲓ ᲐᲠᲔᲒᲣᲚᲘᲠᲔᲑᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲔᲑᲘ: „"ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ", "ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ","ᲒᲔᲜᲓᲔᲠᲣᲚᲘ ᲗᲐᲜᲐᲡᲬᲝᲠᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ", „ᲓᲘᲡᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲪᲘᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲐᲦᲛᲝᲤᲮᲕᲠᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ".

ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲘᲛᲘᲡᲐ, ᲠᲝᲛ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲛᲐ 2015 ᲬᲚᲘ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲬᲚᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲐᲪᲮᲐᲓᲐ, ᲛᲐᲗᲘ ᲣᲤᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲘᲡ ᲙᲣᲗᲮᲘᲗ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲙᲘᲗᲮᲣᲚᲐ ᲯᲔᲠᲯᲔᲠᲝᲑᲘᲗ. ᲗᲣ ᲐᲠ ᲩᲐᲕᲗᲕᲚᲘᲗ ᲞᲠᲝᲤᲙᲐᲕᲨᲘᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲨᲕᲘᲓᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲞᲠᲝᲢᲔᲡᲢᲘᲡ ᲨᲔᲓᲔ�გᲐᲓ 2013 ᲬᲚᲘᲡ 12 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲙᲝᲓᲔᲥᲡᲨᲘ ᲨᲔᲢᲐᲜᲘᲚ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲡ, ᲐᲥᲔᲓᲐᲜ ᲛᲮᲝᲚᲝᲓ ᲔᲠᲗᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲐ ᲨᲔᲔᲮᲝ ᲓᲐᲡᲐᲥᲛᲔᲑᲣᲚ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲣᲤᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲡ. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲙᲝᲓᲔᲥᲡᲘᲡ 37-Ე ᲛᲣᲮᲚᲘᲡ ᲛᲔ-3 ᲞᲣᲜᲥᲢᲘᲡ "Გ" ᲥᲕᲔᲞᲣᲜᲥᲢᲘᲡ ᲛᲘᲮᲔᲓᲕᲘᲗ, ᲐᲙᲠᲫᲐᲚᲣᲚᲘᲐ ᲝᲠᲡᲣᲚᲘ ᲥᲐᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲝᲠᲡᲣᲚᲝᲑᲘᲡ, ᲛᲨᲝᲑᲘᲐᲠᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲕᲨᲕᲘᲡ ᲛᲝᲕᲚᲘᲡ, ᲐᲮᲐᲚᲨᲝᲑᲘᲚᲘᲡ ᲨᲕᲘᲚᲐᲓ ᲐᲧᲕᲐᲜᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲕᲨᲕᲘᲡ ᲛᲝᲕᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲓᲐᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗᲘ ᲨᲕᲔᲑᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ.

ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲙᲝᲓᲔᲥᲡᲨᲘ ᲨᲔᲢᲐᲜᲘᲚᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ, ᲥᲐᲚᲔᲑᲘ ᲙᲕᲚᲐᲕ ᲐᲬᲧᲓᲔᲑᲘᲐᲜ ᲓᲘᲡᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲪᲘᲐᲡ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲡᲐᲥᲛᲔ ᲔᲮᲔᲑᲐ ᲐᲜᲐᲖᲦᲐᲣᲠᲔᲑᲐᲡ, ᲠᲔᲛᲘᲔᲑᲡ, ᲓᲐᲬᲘᲜᲐᲣᲠᲔᲑᲐᲡ, ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲛᲓᲔᲑ ᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐᲖᲔ ᲧᲝᲤᲜᲐᲡ.

ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘ ᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲡ, ᲠᲝᲛ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲛᲐᲡᲨᲢᲐᲑᲘᲗ 829 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲥᲐᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲡ ᲡᲘᲦᲐᲠᲘᲑᲔᲨᲘ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲡᲘᲦᲐᲠᲘᲑᲔᲨᲘ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑ ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲗᲐ ᲠᲐᲝᲓᲔᲜᲝᲑᲐ 522 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲡ ᲨᲔᲐᲓᲒᲔᲜᲡ. ᲓᲐᲡᲐᲥᲛᲔᲑᲣᲚ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲮᲔᲚᲤᲐᲡᲔᲑᲘ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝᲓ ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲗᲐ ᲮᲔᲚᲤᲐᲡᲔᲑᲘᲡ 70-90 %–ᲘᲐ.

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲐᲡ ᲐᲠᲪ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ ᲩᲐᲛᲝᲣᲕᲐᲠᲓᲔᲑᲐ - ᲥᲐᲚᲔᲑᲡ ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲔᲑᲗᲐᲜ ᲨᲔᲓᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲜᲐᲙᲚᲔᲑᲘ ᲐᲜᲐᲖᲦᲐᲣᲠᲔᲑᲐ ᲐᲥᲕᲗ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲔᲥᲢᲝᲠᲨᲘ,ᲠᲐᲪ ᲛᲘᲣᲗᲘᲗᲔᲑᲡ ᲘᲛᲐᲖᲔ, ᲠᲛ ᲥᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲣᲜᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲙᲝᲛ�პᲔᲢᲔᲜᲪᲘᲐ ᲐᲠᲐᲡᲐᲗᲐᲜᲐᲓᲝᲓᲐᲐ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲣᲚᲘ.

ᲡᲢᲐᲢᲘᲡᲢᲘᲙᲘᲡ ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲡᲐᲮᲣᲠᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲔᲑᲘᲗ, ᲥᲐᲚᲗᲐ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲮᲔᲚᲤᲐᲡᲘ 400 ᲚᲐᲠᲘᲗ ᲓᲐᲑᲐᲚᲘᲐ ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲘᲡ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲝ ᲮᲔᲚᲤᲐᲡᲗᲕᲘᲡ.

ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘᲐ ᲘᲡᲘᲪ, ᲠᲝᲛ 2004 ᲬᲚᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔ�გ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲝᲠ�გᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲐᲠᲪᲔᲠᲗᲘ ᲙᲝᲜᲕᲔᲜᲪᲘᲘᲡ ᲠᲐᲢᲘᲤᲘᲪᲘᲠᲔᲑᲐ ᲛᲝᲣᲮᲓᲔᲜᲘᲐ ᲓᲐ ᲓᲦᲔᲕᲐᲜᲓᲔᲚᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲗ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲐᲢᲘᲤᲘᲪᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲝᲠ�გᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ 16 ᲙᲝᲜᲕᲔᲜᲪᲘᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐᲒᲐᲜᲐᲪ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲣᲤᲚᲔᲑᲔᲑᲡ ᲐᲠᲔᲒᲣᲚᲘᲠᲔᲑᲡ ᲘᲡᲔᲗᲘ ᲙᲝᲜᲕᲔᲜᲪᲘᲔᲑᲘ, ᲠᲝ�გᲝᲠᲘᲪᲐᲐ ᲛᲔ-100 "ᲛᲐᲛᲐᲙᲐᲪᲗᲐ ᲓᲐ ᲥᲐᲚᲗᲐ ᲗᲐᲜᲐᲑᲐᲠᲘ ᲦᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲔᲑᲘᲡ ᲨᲠᲝᲛᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲑᲐᲠᲘ ᲐᲜᲐᲖᲦᲐᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ" ᲓᲐ ᲙᲝᲜᲕᲔᲜᲪᲘᲐ №111 "ᲨᲠᲝᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲓᲐᲡᲐᲥᲛᲔᲑᲘᲡ ᲡᲤᲔᲠᲝᲨᲘ ᲓᲘᲡᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ".ᲐᲛᲐᲡᲒᲐᲠᲓᲐ,

პორტის განვითარება თუ მორიგი მონოპოლია?

4000 ადამიანს უმუშევრობა ემუქრება

დასაწყისი პირველ გვერდზე

ექსკლუზივი მხოლოდ ერთ კომპანიას მისცეს, ისიც ზეპირი შეთანხმებით".

აქ მომუშავენი იმასაც ამბობენ, რომ პორტი თავის უპირატეს მდგომარეობას ბოროტად იყენებს და ახლა სურს სატერმინალო მომსახურებაც თავის დაქვემდებარებაში ქონდეს: „ამით ახალი ხელოვნური მონოპოლია შეიქმნება, სატერმინალო მომსახურების სფეროში დასაქმებული 5000–მდე ადამიანი კი უმუშევრად დარჩება. ეს არც თავისუფალი კონკურენციაა და არც სამართლიანობა. ჩვენ ყველა მშვიდობიან ფორმას მივმართავთ ჩვენი უფლებების დასაცავად. ვითხოვთ, ვიმუშაოთ თანაბარ პირობებში. ჩვენ გვჭირდება გადაწყვეტილებები, რომ შემდგომში მაინც, „ფოთის პორტმა" ვეღარ გაბედოს უკანონო და კონკურენციის პირობების უგულებელმყოფელი გადაწყვეტილებების მიღება"- გვითხრა „ჯტს' წარმომადგენელმა დავით ზამთარაძემ.

„კავტრექს ტერმინალის" წარმომადგენელმა უშანგი გეგენავამ როგორც გვითხრა: "საჩივარი შეტანილია და სასამართლო გადაწყვეტს, ეს მონოპოლიური საქმიანობაა თუ უბრალოდ ახირება. არსებობს თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის აქტი, სადაც 27-ე მუხლში შავით თეთრზე წერია, თუ ერთ საქმეს აკეთებს რამდენიმე ორგანიზაცია, ეს კონკურენციაა, თუ ერთი ორგანიზაცია ცდილობს მარტო მუშაობას, ეს მონოპოლიზაცია გახლავთ. "ეი პი ემ " ტერმინალს სურს გააჩეროს ტერმინალები, რომლებიც 20 წელია ამ ბაზარზე არიან. ამით 4 ათასი კაცი უნდა დარჩეს უმუშევარი. გამოდის, ქართველ ინვესტორს არ აქვს არანაირი პირობა საქართველოში განვითარებისთვის. 2011 წელს უიმედობა იყო, როდესაც მსუბუქი ავტომობილების გადაზიდვის მომსახურება გადაიტანეს გესში ისე, რომ არავის არაფერი კითხეს. მაშინ 700 ადამიანმა დაკარგა სამუშაო, დღეს უკვე აპირებენ კონტეინერების გადატანას. ეს უკვე ტრაგედიაა. აქციამდე რამდენიმე დღით ადრე პორტის ადმინისტრაციამ მოისურვა ტერმინალებთან შეხვედრა, სადაც თარჯიმანი არ დაგვასწრო იმ მოტივით, რომ ფოთში ინგლისურის სერთიფიცირებული თარჯიმანი არ ყავთ და შეხვედრაზე საუბარი ინგლისურად დაიწყო. ამით, როგორც ჩანს, პროვოკაციას აწყობდა და გვაიძულებდა, საქართველოში გინდა თუ არ გინდა ინგლისურად გველაპარაკა, ეს არის უპატივცემლობა საქართველოსა და ქართული კანონმდებლობის მიმართ. იქნებ დროა ასეთი დამოკიდებულება შეიცვალოს და საკუთარ ქვეყანაში ნორმალურად მუშაობის საშუალება მოგვეცეს".

გადამზიდავი კომპანიის სხვა ხელმძღვანელებიც "ეი პი ემ" ტერმინალის მხრიდან მონოპოლიაზე საუბრობენ: "ეი პი ემ" ტერმინალს უნდა გაეუმჯობესებინა მდგომარეობა სატერმინალო გადაზიდვების კუთხით, გაეკეთებინა რეალური საქმე, მაგრამ გააკეთეს ტერმინალი, რომლის მსგავსი უკვე თექვსმეტია ფოთში. წინა ხელისუფლების დროს სიტყვიერად გვიბრძანეს, მანქანები მათ ტერმინალზე შეგვეყვანა, გვემუქრებოდნენ დაჭერით, შედგა თაღლითური მოლაპარაკება და 700 ადამიანი დარჩა უმუშევარი. როგორც დღეს ირკვევა, ეს არ იკმარეს და 2011 წელს გააფორმეს ხელშეკრულება (რომელსაც გრიფით საიდუმლო ადევს), რითაც მოინდომეს მთლიანად ყველაფრის წაღება. ჩვენს ტერმინალებზე ათასობით ადამიანია დასაქმებული, ერთი ადამიანი ინახავს მთელ ოჯახს. იმის მაგივრად, რომ შეექმნათ ახალი სამუშაო ადგილები, მონოპოლიურად სურთ მიიტაცონ ყველაფერი. ადებენ იმხელა ფასს, რომ ჯერ თუ მათთან შევა კონტეინერი, მერე არავინ შემოიტანს ჩვენთან, იკარგება კონკურენცია. მანქანები რომ გაიყვანეს ჩვენგან, უკვე რამდენიმე ათეული ლარითაა გაძვირებული. იგივეს გააკეთებენ ახლაც. იმედი გვაქვს, მთავრობა დაგვეხმარება. თუ შედეგი არ ექნება მოლაპარაკებებს, გამოვა მთელი ფოთი, 20 ათასი ადამიანი რჩება მშიერი. მას ემატება ბანკები, ყველას აქვს კრედიტები აღებული. ჩვენც, ტერმინალებსაც, გვაქვს კრედიტები და ასე ვმუშაობთ, ეს ჩვეულებრივი სამუშაო პროცესია. ვცდილობთ განვითარებას, ადამიანების დასაქმებას და თუ ასე გაგრძელდება, ადვილი მისახვედრია რაც მოხდება სოციალური კუთხით".

განსხვავებული პოზიცია აქვს ამ საკითხზე "ეი პი ემ "ტერმინალის ადმინისტრაციას. ისინი თვლიან, რომ ნავსადგურში შემოსული ყველა კონტეინერის "ეი პი ემ" ტერმინალის ბაზაში შეტანით ბიზნესის მონოპოლიზება არ ხდება და ამ გადაწყვეტილებას „ "ტერმინალის ინტეგრაციისა და ტვირთების ეფექტურად გადამუშავებით ხსნიან. როგორც "ეი პი ემ"-ის წარმომადგენელი ფრანსისკო პინზონიმ განმარტა: „ჩვენ პატივს ვცემთ ადამიანის უფლებებს მშვიდობიანად გამოხატონ თავიანთი პროტესტი. ვაცნობიერებთ მათ შეშფოთებას, მაგრამ ჩვენი მიზანი და ვალდებულება, რომელიც აღებული გვაქვს საქართველოს ხელისუფლების წინაშე, არის პირველი კლასის თანამედროვე პორტის მშენებლობა, რომელიც უმაღლესი სტანდატებით და თანამედროვე ტექნოლოგიებით იქნება აღჭურვილი. ჩვენ გვჯერა, რომ ცვლილებას, რომელსაც ვატარებთ, ფოთის პორტს უფრო ძლიერ და კონკურენტუნარიან ობიექტად აქცევს".

აქტიურად არის ჩართული პროცესებში საქართველოს გაერთიანებული პროფკავშირები და საქართველოს ტრანსპორტისა და გზების პროფკავშირები. „ეს ის შემთხვევაა, როდესაც პროფკავშირებს და დამსაქმებლებს ერთი საერთო ინტერესი აქვთ - გადაარჩინონ საკუთარი საქმე და სამუშაო ადგილები. ჩვენ ვიბრძოლებთ ბოლომდე და ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ამ კომპანიებში დასაქმებულებმა სამუშაო ადგილები არ დაკარგონ. თუ საჭირო გახდა, საერთაშორისო პროფკავშირებსაც ჩავრთავთ. ჩვენ წინაღმდეგი ვართ მონოპოლიისა, რასაც სთავაზობს პორტის ადმინისტრაცია. ეს არამარტო ფოთის პრობლემაა, ეს მთელი საქართველოს პრობლემა გახლავთ"- განაცხადა საქართველოს ტრანსპორტისა და გზების პროფკავშირების პრეზიდენტმა ლავრენტი ალანიამ.

გამაფრთხილებელ აქციამდე, საკონტეინერო და ლოჯისტიკურმა კომპანიებმა პროფკავშირების ფოთის წარმომადგენლობასთან ერთად, დია წერილით მიმართეს პრემიერ–მინისტრს, ეკონომიკისა და ფინანსთა მინისტრებს, ბიზნეს–ომბუდსმენს, კონკურენციის სააგენტოს უფროსსა და ფოთის მერს. წერილში დეტალურადაა აღწერილი შექმნილი ვითარება და მოვლენათა განვითარების ქრონოლოგია. გთავაზობთ ამონარიდს ამ წერილიდან:

„2011 წლის თებერვლიდან ფუნქციონირება დაიწყო კიდევ ერთმა,,,კორპორაცია ფოთის პორტის" ახალმა კერძო საბაჟო-საკონტეინერო ტერმინალმა (Iჩთ, შპს „ინლენდ კონტეინერ ტერმინალ"), რომელსაც სახელმწიფოს მიერ მიენიჭა ექსკლუზიური ვერბარული უფლება საერთაშორისო საზღვაო ხაზების მიერ ჩამოტანილი მსუბუქი ავტომობილებით დატვირთული კონტეინერების დამუშავებაზე. ამან გამოიწვია აღნიშნულ ბიზნესში მონაწილე სუბიექტების არათანაბარ პირობებში ჩაყენება. ამასთან დაკავშირებით, 2014 წლის 3 დეკემბერს, შპს „ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია- ფოთის" ტერმინალმა მიმართა კონკურენციის სააგენტოს. 2015 წლის 30 მარტს გამოვიდა სააგენტოს გადაწყვეტილება (ბრძანება №40), რომლითაც ერთმნიშვნელოვნად დადასტურდა შემოსავლების სამსახურის მხრიდან „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „გ" და „ე" ქვეპუნქტების დარღვევის ფაქტები ფინანსთა სამინისტრომ, იმის მაგივრად, რომ სასწრაფოდ გამოესწორებინა ეს უხეში შეცდომა, გამოიყენა თავისი უფლება და გაასაჩივრა აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოში, რომელმაც არ დააკმაყოფილა მისი მოთხოვნა და საქმე, სავარაუდოდ, გადაინაცვლებს სააპელაციო ინსტანციაში.

ასევე, 2 წლის წინ, შპს „ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია – ფოთმა" სარჩელით მიმართა სასამართლოს შპს „ჯორჯიან ტრანს ექსპედიცია – ფოთის" ტერმინალში განთავსებულ კონტეინერში არსებულ მსუბუქ ავტომობილებზე საბაჟო პროცედურების განხორციელების თაობაზე, რაც სააპელაციო და უზენაესი სასამართლეობის მიერ დაკმაყოფილდა და შემოსავლების სამსახური ვალდებულია, განახორციელოს საბაჟო პროცედურები აღნიშნულ ტერმინალზე. ფინანსთა სამინისტროს ასეთმა დამოკიდებულებამ, ანუ თავისუფალი კონკურენციის შეზღუდვის წახალისების პოლიტიკამ, შემდეგში უფრო დიდი „ნაყოფი" გამოიღო და 2014 წლის თებერვალში „კორპორაცია ფოთის პორტმა" უკვე ოფიციალურად აცნობა ყველა საზღვაო ხაზს და საკონტეინერო ტერმინალს, რომ 01.05.14-დან, ფოთის პორტში მიღებული უკლებლივ ყველა კონტეინერი მხოლოდ მის საკუთრებაში არსებული ავტოკონტეინერმზიდებით მოხვდებოდა მხოლოდ მის მიერ დაფუძნებული საკონტეინერო სახმელეთო ტერმინალში-Iჩთ-ში. „კორპორაცია ფოთის პორტი" სატერმინალო მომსახურების ხელოვნური მონოპოლიის ჩამოყალიბებას იმით ხსნიდა, რომ სახელმწიფოს მისთვის უნდა გადაეცა 2.5 კმ საავტომობილო გზა, რომლის რეაბილიტაციისთვის მან გაწია ინვესტიცია და ეს გზა შეაერთებდა ფოთის პორტის საბაჟო კონტროლის ზონას თავისი ტემინალის საბაჟო კონტროლის ზონასთან, რითაც სურდა დაემტკიცებინა, რომ პორტი და ტერმინალი ერთი, განუყოფელი ტერიტორიაა, უალტერნატივო საოპერაციო და ტარიფების მანიპულაციის გზით ცდილობდა კომერციული უპირატესობის მოპოვებას სხვა ტერმინალებთან შედარებით (გამოაცხადა კომბინირებული ტარიფი, რომელიც მოიცავდა კონტეინერის საპორტოს+კონტეინერის პორტიდან ტერმინალამდე გადაზიდვის+ტერმინალის მომსახურების ღირებულებას).

ყოველივე ამას შედეგად მოჰყვა ადექვატური მძაფრი უკმაყოფილება, საზღვაო საკონტეინერო ხაზების, საკონტეინერო ტერმინალების, სატვირთო გადამზიდავებისა და ექსპედიტორების მხრიდან, რადგან ამ „პროექტის" განხორციელება უმუშევრად ტოვებდა დაახლოებით 5000 კაცს და აყალიბებდა საპორტო მომსახურების ბუნებრივ მონოპოლიასთან მიბმულ სატერმინალო მომსახურების ხელოვნურ მონოპოლიას, რაც თავის მხრივ პერსპექტივაში აუცილებლად მოგვცემდა კონტეინერის მომსახურების ფასების გაზრდას და დიდი ალბათობით ოპერაციების ხარისხის დაცემას. ამის ნათელი მაგალითია „კორპორაცია ფოთის პორტის" სატარიფო პოლიტიკა 2013-2016 წლებში. მასში ნათლად ისახება, თუ როგორ იყენებს „კორპორაცია ფოთის პორტი", როგორც საპორტო მომსახურების ბუნებრივი მონოპოლისტი, სახელმწიფოს მიერ არარეგულირებად სფეროს და ყოველგვარი ახსნა განმარტების და მიზეზების გარეშე, ზრდის მომსახურების ტარიფს, როდესაც უნდა და რამდენითაც უნდა.

ზემოაღნიშნულმა კომპანიებმა 2014 წელსაც დია წერილით მიმართეს ქვეყნის პრემიერ მინისტრს და პარლამენტის თავჯდომარეს. საქმის დარეგულირებაში აქტიურად ჩაერთო ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და ქალაქ ფოთის მერია. შედეგად შეჩერდა სახელმწიფოს მიერ კორპორაცია ფოთის პორტისათვის აღნიშნული გზის გადაცემის საკითხი, და ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ „კორპორაცია ფოთის პორტისა" და სხვა კერძო საკონტეინერო ტერმინალების მონაწილეობით დაიწყო ამ საინვესტიციო პროექტის პირობების ჩამოყალიბების განხილვა უკვე ყველა დაინტერესებულ მხარესთან ერთად. განხილვა მიმდინარეობდა ინტენსიურად, ზუსტად ერთი წლის განმავლობაში. განხილვისას აშკარად ჩანდა პორტის მესვეურების კონფრონტაციული დამოკიდებულება სხვა დაინტერესებული მხარეების მიმართ. აღსანიშნავია, რომ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს და ტერმინალების წარმომადგენლებმა საკმაოდ ნაყოფიერად და კონსტრუქციულად იმუშავეს და 2016-ის დასაწყისში, როგორც ჩვენთვის ცნობილია, ფაქტობრივად მზად იყო შესაბამისი დოკუმენტი გასაფორმებლად.

მას შემდეგ, „კორპორაცია ფოთის პორტში" შეიცვალა ხელმძღვანელი. მაისის თვის მეორე ნახევარში ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ პორტის მხარე უარს აცხადებდა ზემოაღნიშნული გზის მიღებაზე, ანუ შეთანხმებული საინვესტიციო პროექტის პირობების გაფორმებაზე. ამავე პერიოდში, კორპორაცია ფოთის პორტმა, როგორც Iჩთ-ის(შპს „ინლენდ

გაგრძელება მე-4 გვ.

გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში„ აცხადებს კონკურსს ქალბატონებისათვის სახელწოდებით

„წარმატებული ქალი 2016„

ძვირფასო ფოთელებო ჩვენი გაზეთის მეშვეობით გეძლევათ შესაძლებლობა თავად აირჩიოთ წარმატებული ქალი. ამისთვის გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია იმ ქალბატონების შესახებ, ვინც ნებისმიერ სფეროში წარმატებული საქმეებით გამოირჩევიან. რჩეულთა კანდიდატები შეგიძლიათ მოგვაწოდოთ რედაქციაში, ან დაგვირეკეთ, გამოგვიგზავნეთ ელექტრონულ ფოსტაზე:

mtavaritsamegrelshi@gmail.com

წარმოდგენილი კანდიდატების შერჩევა მოხდება კონკურსის სახით. გაზეთში დაბეჭდილი სპეციალური ბლანკის მეშვეობით გამოვლინდება წარმატებული ქალი.

ამჯერად გთავაზობთ № 3 კონკურსანტ ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორს ქალბატონს ნუნუ ჭელიძეს

ნუნუ ჭელიძე: „ჩემთვის ბიბლიოთეკა მეორე სახლია„

„როცა მარტო ვრჩები ბიბლიოთეკაში და წიგნის თაროებთან გავივლი, სადაც ქართველი ბუმბერაზი პოეტების წიგნები დევს, მგონია გალაქტიონი მეძახის, იქიდან ლეონიძე მესაუბრება, იქიდან შოთა და მე ვარ ამ გენიოსების გარემოცვაში. ამით უზომოდ ბედნიერი ვარ და მგონია მეუბნებიან მოდი გადამშალე, წამიკითხეო“. ამ ბედნიერ წუთებს ცენტრალური ბიბლიოთეკის დირექტორი ნუნუ ჭელიძე უკვე 25 წელია იზიარებს.

ქალაქის მწიგნობარმა ქალბატონმა კარიერა საბჭოთა ორგანოებში მუშაობით დაიწყო და ყველასათვის წარმოუდგენელი იყო მისი აქტიური ცხოვრებიდან ბიბლიოთეკის ოთახში მუშაობა, მაგრამ თავად მან გახადა ბიბლიოთეკა აქტიური და მრავალფუნქციური. 1991 წელს დაინიშნა ცენტრალიზებული საბიბლიოთეკო სისტემის დირექტორად, ასევე იყო კულტურის განყოფილების გამგის მრჩეველი საბიბლიოთეკო დარგში. გავლილი აქვს სტაჟირება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში. 2003 წელს კი სტაჟირება გაიარა ამერიკის შეერთებულ შტატში, ამჰერსტის სწავლებისა და განვითარების ინსტიტუტის პროგრამით. საქმიანი კონტაქტი აქვს აშშ-ს და სხვა სახელმწიფოს საელჩოებთან და არასამთავრებო ორგანიზაციებთან, რომელთა მეშვეობით ქალაქში ხორციელდება სხვადასხვა პროექტები.

2002 წელს ნუნუ ჭელიძისა და ამერიკული ორგანიზაცია, პროექტი ჰარმონიის ურთიერთთანამშრომლობით, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის, განათლებისა და კულტურის საკითხთა ბიუროს ფინანსური მხარდაჭერით ფოთიდან 5 კაციანმა ჯგუფმა 1 თვის განმავლობაში გაიარა პრაქტიკული სტაჟირება კალიფორნიის შტატში.

2007 წლიდან მუშაობს საბიბლიოთეკო გაერთიანების დირექტორად. მიღებული აქვს ათამდე გრანტი, რის შედეგად ბიბლიოთეკაში გაიხსნა საინფორმაციო-საზოგადოებრივი ცენტრი. ბიბლიოთეკა აღიჭურვა თანამედროვე ტექნიკითა და ინვენტარით, საბავშვო ბიბლიოთეკაში გაიხსნა „ბავშთა ოთახი“, გრანტის სახით ზრდასრულ უსინათლოებს შეასწავლეს წერა-კითხვა, მოგვიანებით კი გაიხსნა უსინათლოთა ინტეგრაციის კაბინეტი. ერთ-ერთი პროექტის ფარგლებშივე გაიხსნა უცხო ენათა კაბინეტი და კომპიუტერული ცენტრი. მისი თაოსნობით საბიბლიოთეკო ფონდები გადაიყვანეს ათწილად კლასიფიკაციაზე. ჩატარდა წიგნადი ფონდის ინვენტარიზაცია და რეინვეტარიზაცია, რისთვისაც საბიბლიოთეკო გაერთიანებას მიენიჭა საბაზო ბიბლიოთეკის სტატუსი.

ქალბატონი ნუნუ განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენს ბავშვთა რეაბილიტაციის ცენტრის აღსაზდელთა მიმართ. ასწავლიან ინგლისურ ენასა და კომპიუტერს, დღესასწაულებზე კი მათ ლამაზ შეხვედრებს უწყობენ. ნუნუ ჭელიძის ხელმძღანელობით ცენტრალურმა ბიბლიოთეკამ და მისმა ფილიალებმა საგრძნობლად იცვალეს იერსახე. ბიბლიოთეკაში გამოიყო სამკითხველო დარბაზი და ბავშვთა კუთხე. შეიქმნა დასასვენებელი კუთხე პენსიონრებისა და შეზღუდული შესაძლებლობის ადამიანებისათვის. ბიბლიოთეკის ბაღში მოწყობილია სასიამოვნო გარემოთა და სიმყუდროვით გამორჩეული პატარა კუთხე, სადაც ეწყობა პოეზიის საღამოები. წიგნის სიყვარული ღრმა ბავშვობიდან აქვს, „რკინიგზაში ვცხოვრობდი, იქ იყო პატარა ბიბლიოთეკა, სადაც მუშაობდა გუგუშა ცომაია, რომ შევიდოდი ვეხვეწებოდი ცოტა ხანს დავრჩები აქ მეთქი, იმდენად მინდოდა, თუნდაც ცოტა ხნით გაჩერება იმ სამყაროში გუგუშას რომ ქონდა მოწყობილი. ჩემთვის ბიბლიოთეკა მეორე სახლია, ცუდად რომც ვიყო მაინც მოვდივარ, ჩემთვის არ არსებობს ცუდი და კარგი ამინდი, გაჭირვება, ოჯახური პრობლემა, ეს ჩემი სახლია, აქ შევიძინე ბევრი მეგობრები, რომლებმაც ლექსიც მომიძღვნეს და რომელიც ჩემს შვილებს და შვილიშვილებს დარჩებათ“.

ბიბლიოთეკაში ყოფნისას ერთ-ერთი მისთვის მიძღვნილი ლექსი თავად ავტორმა ლუიზა ჩხეტიამ წაგვიკითხა.

კონკურსი

„წარმატებული ქალი„

კუპონი №4

კონკურსანტის
სახელი და გვარი ----------

ჩვენი მისამართი: ფოთი, წმინდა ნინოს 3/2,

პორტის განვითარება თუ მორიგი მონოპოლია?

4000 ადამიანს უმუშევრობა ემუქრება

დასაწყისი მე-4 გვ.

კონტეინერ ტერმინალი“) 100% წილის მფლობელმა, შეუცვალა მას სამმართლებრივი ფორმა და ისიც გახდა „კორპორაცია ფოთის პორტი“-ს სახმელეთო ტერმინალი.

და აი, უკვე 2016 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს, „კორპორაცია ფოთის პორტმა“ ელექტრონული წერილით აცნობა საზღვაო ხაზებს, საკონტეინერო ტერმინალებს, გადამზიდავებს, ექსპედიტორებს და სატვირთო ლოგისტიკის ინდუსტრიის სხვა კომპანიებს, რომ მიმდინარე წლის 01 ივლისიდან საპორტო მომსახურების გაუმჯობესებისა და უსაფრთხოების მიზნით, (ვითომ უფრო დაჩქარდება გემის დაცლა-დატვირთვა, რომელიც თავის მხრივ ეხლაც რეგულირდება საჯარიმო სანქციებით პორტის მხრიდან დამრღვევი მხარის მიმართ, რომელიც ბოლო ერთი წლის განმავლობაში არ გამოყენებულა და სხვა გამოგონილი „სიკეთეები“) აპირებს მოახდინოს პორტისა და სახმელეთო ტერმინალის „ინტეგრირება“, რაც იმაში მდგომარეობს, რომ კვლავ აპირებს ფოთის პორტში შემოსული ყველა კონტინერი გადაამისამართოს მხოლოდ თავისი ავტოკონტეინერმზიდებით, მხოლოდ მის სახმელეთო საკონტეინერო ტერმინალში და მხოლოდ ამის შემდეგ გაიცეს ის სხვა ტერმინალების მიმართულებით, თუ იქნება ასეთი მოთხოვნა. რაც შეეხება მომსახურების ტარიფებს, ის კვლავ კომბინირებული იქნება და სპეციალურად მოიცავს რამდენიმე მომსახურების ღირებულების ჯამს, რითაც სხვა ტერმინალებს უსპობს საშუალებას პორტში მიღებული კონტეინერები დამუშავდეს სხვადასხვა კერძო ტერმინალებში მოთხოვნისა და თავისუფალი კონკურენციის პირობებში.

აღნიშნულმა მდგომარეობამ აიძულა ლოგისტიკური კომპანიების მუშაობის შემთხვევაში, მომავალშიც აპირებენ უკიდურესი პროტესტის გამოხატვას და გაფიცვის მოწყობას“.

ჯერჯერობით ყველა ელოდება კონკურენციის სააგენტოსგან პასუხს, მანამდე კი ფოთში არსებული ტერმინალები 1 ივლისამდე, შეძლებისდაგვარად, აგრძელებენ ფუნქციონირებას. როგორც გადამზიდავ

მოსამსახურეები, სამუშაო ადგილების აშკარად დაკარგვის შიშით, პროფკავშირების ორგანიზებით დაენიშნათ გამაფრთხილებელი აქცია ქ.ფოთში 14.06.16 -ში, რადგან ასეთი პრობლემები უკვე პერმანენტულად, თითქმის ყოველ წელს წარმოიშვება ბოლო 6 წლის განმავლობაში. პრობლემის უყურადღებოდ დატოვებისა და გადაუწყვეტელობის

კომპანიებში აცხადებენ, იმ შემთხვევაში, თუ 27 ივნისამდე ვერ გამოიძებნება გამოსავალი შექმნილი მდგომარეობიდან, პროცესებმა, შესაძლოა, უმართავი ფორმები მიიღოს და საკონტეინერო და ლოჯისტიკური კომპანიები იძულებულები გახდებიან, ყოველგვარი გამაფრთხილებელი აქციების გარეშე, უკიდურეს ზომებს მიმართონ.

ქალთა შრომითი უფლებების დაცვა კვლავ რჩება სერიოზული კრიტიკის საგნად

დასაწყისი მე-3 გვ.

ასაკამდე აღზრდის პერიოდში შტატების შემცირების, ხანგრძლივი შრომისუუნარობის ან ჯანმრთელობის მდგომარეობის, აგრეთვე ატესტაციის შედეგების გამო. მსგავს დებულებას არ ითვალისწინებს შრომის კოდექსი. რათქმა უნდა, მისასალმებელია, როდესაც საჯარო სამსახურში მომუშავე ქალები დაცულნი არიან დისკრიმინაციისგან, თუმცა, ამავე დროს გვიჩნდება კითხვა, რამდენად სამართლიანია, როდესაც ასეთი სახის ნორმა მხოლოდ საჯარო სამსახურში მომუშავე ქალებზე ვრცელდება.

საქართველოს კონსტიტუცია ნათლად აცხადებს, რომ ყველა ადამიანი თანასწორია კანონის წინაშე. რეალურად კი ასეთ "პოზიტიურ დისკრიმინაციას" ვაწყდებით. უნდა აღინიშნოს, რომ როგორც საჯარო მოხელე, ისე კერძო სექტორში დასაქმებული ქალები ერთნაირად იხდიან გადასახადებს და ერთნაირად იცავენ კანონს. მაგრამ მათ მიერ სახელმწიფო ხაზინაში თანაბრად შეტანილი თანხა შემდგომში მათზე უკვე არათანაბრად ნაწილდება. მიუხედავად იმისა, რომ შრომის კოდექსი დასაქმებულ ქალებს იცავს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისგან ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის პერიოდში, ის არ ადგენს რაიმე ამკრძალავ დებულებას, რომ დეკრეტული შვებულების შემდეგ დაცული იყოს ქალი შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისგან.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საჯარო მოსამსახურე ქალებისაგან განსხვავებით კერძო სექტორში მომუშავე ქალები სახელმწიფოსგან ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო 1000 ლარს იღებენ, თუმცა, აღსანიშნავია, რომ საჯარო სამსახურში მომუშავე ქალებს ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულებასთან დაკავშირებით, კანონმდებლობით დადგენილ დახმარებასთან ერთად, მის მიერ შვებულების პერიოდში მისაღები შრომითი გასამრჯელოს ზღვრულ ოდენობამდე შესავსებად ეძლევა კომპენსაცია. კერძო სექტორში მომუშავე ქალები ამ მხრივ არახელსაყრელ მდგომარეობაში იმყოფებიან, ისინი მხოლოდ 1000 ლარიან დახმარებას იღებენ, ხოლო რაც შეეხება შვებულების დროს ასაღებ თანხას, ამ შემთხვევაში აღნიშნული დამსაქმებლის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული, მისცემს ის დასაქმებულს აღნიშნულ კომპენსაციას თუ დასაქმებული მხოლოდ 1000 ლარიანი დახმარების იმედად რჩება.

საქართველოს კანონის "საჯარო სამსახურების შესახებ" 41 პრიმა მუხლის მიხედვით, მოსამსახურის ორსულობის პერიოდში ჩატარებული სამედიცინო გამოკვლევების გამო გაცდენილი სამუშაო საათები ჩაეთვლება საპატიოდ გამოკვლევების ჩატარების დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარდგენის შემთხვევაში და შეუნარჩუნდება ხელფასი. კერძო სექტორში კი ეს პრობლემას წარმოადგენს. არადა, სახელწიფო უნდა ცდილობდეს, რომ როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში მომუშავე ქალები ერთნაირად იყვნენ დაცულნი. კანონი ერთია და მას ერთნაირად უნდა იცავდეს ყველა. ამას ისიც ემატება, რომ საჯარო მოსამსახურეს საქართველოს კანონის "საჯარო სამსახურების შესახებ" 48-ე მუხლის მიხედვით სახელმწიფო მოსამსახურეს 5 წელიწადში ერთხელ თანამდებობრივი სარგოს შენარჩუნებით ეძლევა სასწავლო შვებულება 3 თვემდე ვადით კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით. სამწუხაროდ, ასეთ ნორმას საქართველოს შრომის კოდექსი არ ითვალისწინებს. კერძო სექტორში არაა განსაზღვრული კონკურსების პირობების საკითხი, რაც მას აძლევს უფლებას ამ გზით გათავისუფლდეს მისთვის არა სასურველი პირისაგან.

მნიშვნელოვან ხარვეზს ვაწყდებით თვითდასაქმებულ ქალებთან დაკავშირებითაც. მათზე ზემოთ აღნიშნული არცერთი შრომითი პრივილეგია არ ვრცელდება.

საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება და მასთან არსებული ქალთა კომიტეტი წლების განმავლობაში ითხოვდა შრომის კოდექსში ამ კუთხით ცვლილებებსა და შსო-ს 183-ე"დედობის დაცვის" კონვენციის რატიფიცირებას.

საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების ქალთა კომიტეტის თავმჯდომარის ეთერ მათურელის განმარტებით: "პროფკავშირებისთვის დასაქმებულ ქალთა შრომითი უფლებების გაუმჯობესებაზე ზრუნვა ყოველთვის იყო პრიორიტეტი. ჩვენ Iთ ჩ და ღჩ- ის მხარდაჭერით ვახორციელებთ კამპანიას ქალებისთვის" დასაქმებულ ქალთა ჩართვა კანონშემოქმედებით საქმიანობაში", შეიმუშავე კანონი და მოითხოვე შსო-ს 183-ე "დედობის დაცვის" კონვენციის რატიფიცირება. გარდა იმისა, რომ 2014 წლის 1 იანვრიდან გაიზარდა ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულების დღეთა ოდენობა 126 კალენდარული დღიდან 183 კალენდარულ დღემდე, დეკრეტული შვებულების დღეები გაიზარდა 477 კალენდარული დღიდან 730 კალენდარულ დღემდე. დეკრეტული შვებულების ანაზღაურების ოდენობა 600 –დან 1000 ლარამდე. ასევე 1 ივლისიდან მშობიარობა გახდა უფასო, 500 ლარის ფარგლებში, გართულების შემთხვევაში - 800 ლარი და 1 ივნისიდან, 6 რეგიონში, მშობიარობის მნიშვნელოვანი კლების გამო, ყოველი მესამე, 2 წლამდე ასაკის ბავშვის მშობელი სახელმწიფოსგან ყოველთვიურ დახმარებას მიიღებს. დახმარების ოდენობა მთიან რეგიონებში – 200 ლარი, ხოლო ბარში-150 ლარია. ამჯერად ვითხოვთ, დროულად დაიწყოს ცვლილებების მე-2 ეტაპი - შსო-ს 183-ე "დედობის დაცვის" კონვენციის რატიფიცირება, რადგან ამით სახელმწიფო იღებს ვალდებულებას, დაიცვას ქალის უპირველესი მისია-დედობა და დედობის უფლება. სახელმწიფო დახმარება ყველა ქალს ყოველ ახალშობილზე; თვითდასაქმებული ქალებისათვის ბავშვის გაჩენასთან დაკავშირებული დეკრეტული შვებულების სარგებლობის უფლების უზრუნველყოფა; ფეხმძიმე ქალებისთვის ფეხმძიმობის პერიოდში სამუშაო პირობების შემსუბუქება და მის იმ სუბუქ სამუშაოზე გადაყვანა; ფეხმძიმობის პერიოდში სამედიცინო გამოკვლევების გამო გაცდენილი სამუშაო საათების საპატიოდ ჩათვლა; დასაქმებულებისათვის 5 წელიწადში ერთხელ ხელფასის შენარჩუნებით, 3 თვემდე ვადით კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით სასწავლო შვებულების მიცემა; კერძო სექტორში დასაქმებულ ქალთა მდგომარეობის გათანაბრება საჯარო მოხელეთა უფლებრივ მდგომარეობასთან ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულებისა და კომპენსაციასთან დაკავშირებით; აიკრძალოს დისკრიმინაცია სამსახურში აყვანისას; დამატებითი შესვენება ფეხმძიმე და მეძუძური ქალებისთვის; მარტოხელა და მრავალშვილიანი დედის სტატუსის განსაზღვრად ამათთვის შესაბამისი დამატებითი გარანტიების დაწესება".

როგორც გავარკვიეთ, ქალთა შრომითი უფლებების გაუმჯობესებასა და დედობის წახალისების მიზნით, ფოთში დასაქმებული ქალების მიმართ არანაირი სოციალური პაკეტები არ გამოიყენება. ერთადერთი შეღავათი ის გახლავთ, რომ დედებს რომელთაც შვილები სკოლაში ან ბაღში ყავთ, ნახევარი საათით გვიან შეუძლიათ სამსახურში გამოცხადება, რაც პროფკავშირების მოთხოვნით გაკეთდა. არადა, შესაძლებელია კოლექტიური ხელშეკრულებით სხვადასხვა სერვისების დანერგვა.

იმედია, ჩვენს ქვეყანაში ქალთა მიმართ დამოკიდებულება შეიცვლება და ქალთა და მამაკაცთა უფლებრივი მდგომარეობა გაწონასწორდება.

ფოთელების მოსაზრება არჩევნებთან დაკავშირებით

ქეთი ჩეგანი
ფოთი

საპარლამენტო არჩევნები მოახლოვდა და ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში მოხვედრის მსურველთა რიცხვი საკმაოდ დიდია. სახელდახელოდ იქმნება ახალი პარტიები, თუმცა საზოგადოების გარკვეული ნაწილი ამ პარტიებზე იმედს ვერ ამყარებს და მათვის ხმის მიცემას არ აპირებს. თავის მხრივ, პარტიები ცდილობენ, ამომრჩევლის ინტერესები წარმოადგინონ და როგორც ყოველთვის ხდება წინასაარჩევნოდ, მთავრობაში მოსვლის შემდეგ პრობლემების გადაჭრას პირდებიან. შეიძლება ითქვას, რომ პარტიებსა და საზოგადოებას შორის ინტეგრაციის დონემ მნიშვნელოვნად დაიწია, რადგან საზოგადოების ნაწილი პარტიებს არ ენდობა. სამართლიანობისთვის უნდა ითქვას, რომ ამდენი გაწბილების შემდეგ ქართველებს ნდობის მანდატის ვინმესთვის მიცემა ძალიან გაუჭირდებათ. ჩვენ მცირე გამოკითხვა ჩავატარეთ, რას ფიქრობს ხალხი მოახლოებულ არჩევნებსა და მასში მონაწილე პირებზე:

ჯულიეტა გეგეჭკორი: - „სიმართლე გითხრათ, ამ ახალი პარტიების იმედი არ მაქვს, მაგრამ ხალხისთვის თუ უკეთესობა იქნება, რა თქმა უნდა, იმედი დაგვიბრუნდება და ხმასაც მივცემთ".

ვენერა ქირია: - „ხალხს უკვე არავის იმედი აღარ აქვს. დარწმუნებული ვარ, ეს საერთო აზრია და უმეტესობა ასე ფიქრობს"

ომარ უბილავა: - „ქართული ოცნების ხელისუფლებაში ყოფნის დროს რაღაც მაინც გაკეთდა ფოთში და იმ ცხრა წლის განმავლობაში არაფერი გაკეთებულა. მე პირადად ვფიქრობ, რომ ისევ ოცნება უნდა მოვიდეს მთავრობაში. მე მას აუცილებლად მივცემ ხმას. დარწმუნებული ვარ, მომავალში უფრო მეტს გააკეთებენ".

მარინა კვინჩია: - „არავის იმედი აღარ მაქვს და არავის ვენდობი. კიდევ ისე ჯობია იყოს, როგორც არის. ისევ შეჩვეული ჭირი ჯობია შეუჩვეველს. 20 წელია, სახლ-კარი არ მაქვს, უცხოეთში დავდივარ ოჯახის შესანახად".

დავით ვადაჭკორია: - „სურვილი მაქვს, რომ ისევ "ნაციონალები" დაბრუნდნენ მთავრობაში და ამის იმედი მაქვს".

დავარი კაკულია: "ოცნებისგან რასაც ველოდით, ყველაფერი არ შეგვისრულდა, მაგრამ რაღაც მაინც გააკეთეს. ყოველ შემთხვევაში, წინა მთავრობასავით გაკეთებული არ დაუმადლებიათ. ისევ ისინი მოვიდნენ. იქნებ მეტი გააკეთონ. ახალსაც დავაკვირდები და იმის მიხედვით გადავწყვეტ, ხმა ვის მივცე".

ლილია მეტრეველი: "საერთოდ აღარ ვიცი, ღირს თუ არა ვინმესათვის ხმის მიცემა. დაპირებების ნახევარს კი არადა. 10 პროცენტს მაინც რომ გააკეთებდეს რომელიმე პარტია, კარგი იქნებოდა. ვნახოთ რა იქნება. ნეტავ რამე გამოსწორდეს საქართველოში".

რაგბი - ყველაზე დიდი გატაცება

მარი ჯავახია
ფოთი

9 წლის იყო რატი ნუცუბიძე, როდესაც რაგბით დაინტერესდა. მართალია, მშობლებმა ბავშვურ გატაცებად ჩაუთვალეს, მაგრამ გული არ დაწყვიტეს და 155 სკოლის ბაზაზე არსებულ ჯგუფში, მწვრთნელ თენგო ჩერგოლეიშვილს მიუყვანეს. ინტერესი ამაო არ გამოდგა, შრომისმოყვარე და მიზანდასახულ ბიჭს მალევე გაუმართლა და 1997 წელს "ტექნო ირსში" დებიუტიც შედგა. 4 წელი ასფალტზე უწევდა ვარჯიში, მაგრამ რაგბისადმი სიყვარული ოდნავადაც არ განელებია. მალევე დაამტკიცა კიდეც, რომ სპორტულ კარიერაზე სერიოზულად ფიქრობდა - მესამე წელია, რატი ამერიკის პრემიერშიპშია. თამაშობდა „გლენდალე დაპტორს"-ში, ამჟამად კი " ეწ ორკ ლდ ლუე"-ში ირიცხება.

რატი ნუცუბიძემ საქართველოს ყველა ასაკობრივ ნაკრებში ითამაშა. დებიუტი ნამდვილ მოედანზე 2006 წელს შედგა. პროფესიულ ლიგაში უნივერსიტეტის სახელით გამოდიოდა. უმაღლეს ლიგაში კი, მისი პირველი ოფიციალური შეხვედრა "ყოჩებთან"გახლდათ. მაშინ გუნდის ყველაზე ახალგაზრდა მოთამაშე იყო და კარგად ახსოვს, გამოცდილი თანაგუნდელები როგორ ულოცავდნენ დებიუტს უმაღლეს ლიგაში, თუმცა ის მატჩი ძალიან დაძაბული ბრძოლის მიუხედავადწააგეს.

მერე მისი სპორტული კარიერის აღმავლობა დაიწყო -2008 წელს ჩილეში გაემგზავრა 20 ჯუნიორ წორლდ რუგბყ-ზე, სადაც მე-3 ადგილზე გავიდნენ. ცხრამეტ წლამდელების ნაკრებში მსოფლიო პირველობაზეც ითამაშა ირლანდიაში, სადაც რუსეთის ახალგაზრდულ ნაკრებს შეხვდნენ და მოუგეს კიდეც ანგარიშით 24:6. დღესაც არ განელებია ის ემოცია, რაც ამ მატჩის მერე განიცადა.ბოლოს, 21-ის ევროპის ჩემპიონატზე ითამაშა, რომელიც ესპანეთში ჩატარდა.

2010 წელს პირველად წავიდა ამერიკაში და პირველი ქართველი ლეგიონერიც გახდა. 2011 წელს საქართველოში მოუწია დაბრუნება, შესვენება ქონდათ ამერიკის პრემიერშიპში, თან ამას საზარდულის ტრამვაც დაერთო, რასაც რეაბილიტაცია და დასვენება სჭირდებოდა. ამ დროისთვის თავდაცვის სამინისტროს გუნდი "არმია" შეიქმნა, რომლის შეთავაზებასაც დათანხმდა და ამერიკაში დაბრუნებაზე აღარც უფიქრია. პირველივე წელს გახდა გუნდი ქვეყნის ჩემპიონი, საქართველოს თასის მფლობელი და 7კაცა რაგბის გამარჯვებული. 7კაცა რაგბში 4 წელი ასპარეზობდა. 2011-2015 წლები, შეიძლება ითქვას, "ოქროს ხანაა" რატის სარაგბო ცხოვრებაში, რადგან მას, როგორც ერთ-ერთ საუკეთესო მოთამაშეს,

დიდი როლი მიუძღვის 7კაცა რაგბის წარმატებაში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ რატის სახით ერთ-ერთი ძლიერი მოთამაშე ყავდა გუნდს, და რომ არა 2 ქირურგიული ჩარევა, ნამდვილად გაცილებით მეტ წარმატებას მოუტანდა ქვეყანას.

"არმიაში" მიღებულმა 4 წლიანმა მოღვაწეობამ ძალიან დიდი გამოცდილებაც შესძინა. ახლა რატი ისევ ამერიკაშია და " ეწ ორკ ლდ ლუე"-ში განაგრძობს თამაშს. როგორც თავად ამბობს, განსხვავება ამ ორ ქვეყანას შორის უფრო თამაშის სტილია. ქართველები მაინც ძალისმიერად თამაშობენ და შერკინება აქვთ კოზირის სახით, ამერიკელები კი, უფრო უკანა ხაზით იცავენ და ცდილობენ გაშლილი თამაში ითამაშონ. რატისთვის, როგორც უკანა ხაზის მოთამაშისთვის და გარემარბისთვის, რა თქმა უნდა, ამ ტიპის თამაში სჯობს, აქ უფრო მტკიცედ დგას და საკმაოდ პოპულარულიც გახდა რაგბის გულშემატკივრებს შორის, თუმცა, რატის აზრით, შტატებში რაგბი ისეთ მაღალ დონეზე არ არის, როგორც საქართველოში, მაგრამ ამერიკელები ცდილობენ და უზარმაზარ რესურსს ხარჯავენ სპორტის ამ სახეობის განვითარებისთვის.

როგორც ყველა სპორტსმენის დღე, რატის დილაც ვარჯიშით იწყება სატრენაჟორო დარბაზში, შემდეგ შინ ბრუნდება და ისევ ვარჯიშისთვის ემზადება. საღამოს მეუღლესთან, ან მეგობრებთან ერთად ატარებს, რა თქმა უნდა, ვატჯიშის მერტე ძალა და ენერგია ისევ აქვს შემორჩენილი.

სამომავლო გეგმებს რაც შეეხება, რატი ჯერ ამ გუნდში აპირებს თავის დამკვიდრებას, იგი აქ ახალი წევრია და დიდი კონკურენციის პირობებში ეს არც ისე ადვილი გახლავთ.შესაძლოა, ვინმეს ხმამაღალ ნათქვამად მოეჩვენოს, მაგრამ რატის მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი, დიდი წვლილი შეიტანოს ამერიკის პროფესიულ რაგბში.

ჩვენ კი, ჩვენის მხრივ ისდა დაგვრჩენია, ჩვენს წარმატებულ თანამოქალაქეს უფრო დიდი წარმატებები და დასახული მიზნის მიღწევა ვუსურვოთ.

სპორტული ცეკვები „კოლხეთის თასი 2016

მარი ჯავახია
ფოთი

რამდენიმე დღის წინ ფოთის საკალათბურთო დარბაზში ჩატარდა სპორტული ცეკვების საერთაშორისო ტურნირი „კოლხეთის თასი 2016", სადაც წარმატებით იასპარეზეს ფოთის სპორტული ცეკვების სტუდიების „ოცნების" და „მზის გული"-ს (სტუდიების ხელმძღვანელები თამაზ თოდუა და ლევან მაშავა).

კატეგორიები:

6-7 წელი - დამწყები წყვილი
გაგა მირცხულავა და ნინო ფიფია - I ადგილი
6-7 წელი - დამწყები სოლო
ნინო ფიფია - I ადგილი
ანასტასია ცატავა - II ადგილი
ნინო გურალია - III ადგილი
8-9 წელი - ბრინჯაო
ქრისტინე გოგიჩაიშვილი - I ადგილი
ელისაბედ სიჭინავა - II ადგილი
10-11 წელი - ოქრო
ელენე თავართქილაძე - I ადგილი
9-11 წელი, წყვილები - ვერცხლი
რეზიკო გეგეჭკორი, ანა იმნაძე - II ადგილი
9-11 წელი, წყვილები - ოქრო
საბა მიქავა, ნათია გეგეჭკორი - II ადგილი
9-11 წელი, დამწყები - წყვილები
გიორგი ტყებუჩავა, ნატალი ტყებუჩავა - I ადგილი
10-11 წელი, წყვილები
გოგა ცქირია, ელენე თავართქილაძე - I ადგილი
10-11 წელი, სოლო
ნინო კარტოზია - III ადგილი
9-11 წელი, წყვილები, სტანდარტი
გიორგი ჯორბენაძე, ელენე ბაშელიშვილი - I ადგილი
საბა ჯალაღონია, მარი კვარაცხელია - III ადგილი
14-15 წელი, ვერცხლი - სოლო
ნინო თოლორდავა - I ადგილი
მარი თოლორდავა - II ადგილი
მარიამ გედენიძე - III ადგილი
14-15 წელი, წყვილები
გოგა მელია, ქრისტინე ზუბცოვა - II ადგილი
გოგა ბართია, ქრისტინე კოკაია - III ადგილი

დაისვენეთ წინდახედულად

ზაფხული ტრადიციული სეზონია ოჯახური დასვენებისათვის. სუფთა ჰაერი, ვიტამინები და ჟანგბადით თრობა... მაგრამ თუ ახალგაზრდა მშობლები ხართ, ხოლო თქვენი პატარა ჯერ ერთი წლისაც არაა, რა უნდა ჰქნათ? დარჩეთ ჩვეულ, მაგრამ ქალაქის დაძაბულ ატმოსფეროში თუ არ შეგეშინდეთ სიინფექციების და დაისვენოთ, როგორც ყველამ? და რა არის ბავშვისათვის უკეთესი? პასუხებს ამ და სხვა კითხვებზე იპოვნით ჩვენს სტატიაში. ექიმები ერთმნიშვნელოვნად გირჩევენ – 3 წლამდე ასაკის ბავშვისათვის ყველაზე სასარგებლოა მშობლიურ ადგილებში დასვენება. კლიმატის მკვეთრმა გამოცვლამ შეიძლება სერიოზულად შეარყიოს ბავშვის ჯანმრთელობა, განსაკუთრებით ეს ეხება იმუნურ სისტემას. თუ ძუძუს ბავშვი გყავთ, უმჯობესია სადმე თბილისთან ახლოს დაისვენოთ.

სუფთა ჰაერი, მზე, გაწმენდა გრილი წყლით, ბანაობა – დაეხმარება მას გაკაჟებაში. პატარა თავის კლიმატურ ზონაში იცხოვრებს, რაც ხელს შეუწყობს მას ძალების შენარჩუნებაში და ასეთი სტარტი თქვენს შვილის ჯანმრთელობას საუკეთესო საფუძველს ჩაუყრის. თბილ სეზონზე პატარამ დიდი დრო უნდა გაატაროს სუფთა ჰაერზე. დაჩა თუ დასასვენებელი სახლი? ყველაფერი თქვენს სურვილზე და შესაძლებლობებზეა დამოკიდებული. მაგრამ იმისათვის, რომ დასვენება კომფორტული იყოს როგორც მშობლებისათვის, ისე ბავშვისათვის, ბევრ რამეზე უნდა იზრუნოთ.

წყალი

წყლის შეცვლამ შეიძლება ცუდად იმოქმედოს ბავშვის საჭმლის მომნელებელ სისტემაზე, ამიტომ იზრუნეთ მისთვის ჩვეული წყლის მარაგზე. უმჯობესია გამოიყენოთ სპეციალური, ბოთლებში ჩასხმული წყალი ბავშვისათვის. ამ წყლის გამოყენება შეიძლება წინასწარი დამუშავების გარეშე, სასმელად და ყველანაირი საჭმლის მოსამზადებლად.

კვება

თუ თქვენი პატარა მხოლოდ ძუძუთი იკვებება, პრობლემა თავისთავად იხსნება. ხოლო თუ ხელოვნურ საკვებზეა, მოიმარაგეთ იგი. ამასთან, უმჯობესია გამოიყენოთ მშრალი საკვები, იგი უკეთესად ტრანსპორდირდება და ინახება. ცხელი წყლისა და ელექტროობის უქონლობისას შეუცვლელია ხსნადი რძიანი ფაფები. მათ არ ჭირდებათ ხარშვა, არ ჭირდებათ მდუღარე, არ ფუჭდებიან. ფაფას შეგიძლიათ დაასხათ ანადუღარი, ოთახის ტემპერატურის წყალი უშუალოდ ჭამის წინ. 6 წელზე მეტი ასაკის ბავშვებისათვის არ იქნება ზედმეტი ქილებში ჩადებული, გამზადებული ბოსტნეულის და ხილის პიურე. ხორცის მომარაგებისაგან ზაფხულში უმჯობესია თავი შეიკავოთ. თუ საჭმელი გირჩევნიათ თავად მოამზადოთ, წაიღეთ თან ამისათვის საჭირო ინსტრუმენტები. თუ რძის წაღება გსურთ, შეარჩიეთ სპეციალური რძე ბავშვებისათვის, რომლის შენახვის პირობები 25 გრადუსამდეა.

ჭურჭელი

თერმოსი – ნამდვილი დამხმარეა. იგი დაგეხმარებათ ფაფის მომზადებისას, თბილი წყლის შენახვაში – ბავშვის საკვებისათვის ან თუნდაც მის ჩასაბანად. არ დაგავიწყდეთ სასმელი წყლის ბოთლები (მინიმუმ 2), კოვზები, და მატყუარა საწოვარები(2-3). წაიღეთ თან ელექტრო-ჩაიდანი, საფქვავი.

ჰიგიენა

ნუ იტყვით უარს პამპერსებზე, დაისვენეთ სარეცხისაგან, წაიღეთ იგი სოლიდური რაოდენობით. ხოლო თუ ჩვრებს ანიჭებთ უპირატესობას, წაიღეთ ისინი შედარებით მეტი. ასევე ნუ დაგავიწყდებათ ჰიგიენური სველი ხელსახოცების შესახებ, ასევე საცხი გამოყენებისათვის, პუდრა, ბავშვის საპონი და პირსახოცი. ასევე სარეცხის ფხვნილი ბავშვის სამოსისათვის.

აფთიაქი

ეს აუცილებელია. მის შემადგენლობაში აუცილებლად უნდა შედიოდეს: ბინტი, ბამბა, ბრილიანტის მწვანე, იოდი, ბაქტერიციდული ლეიკოპლასტირი, აქტივირებული ნახშირი, დიარეის საწინააღმდეგო საშუალება, ხველების, ყურის ტკივილის წამლები, წვეთები სურდოსათვის, სიცხის დამწევი, ალერგიისა და ვირუსის საწინააღმდეგო პრეპარატები, პანტენოლი, თერმომეტრი.წაიღეთ თან მხოლოდ თქვენთვის ნაცნობი პრეპარატები, რომლებსაც თქვენი პატარა კარგად იტანს და რომელთა თვისებებს კარგად იცნობთ.

სასწრაფო დახმარება

იკითხეთ, როგორ გამოიძახოთ სასწრაფო დახმარება იმ ადგილზე, სადაც უნდა დაისვენოთ. ასევე გაიგეთ სად არის უახლოესი ბავშვთა პოლიკლინიკა. აუცილებლად წაიღეთ თან სადაზღვევო პოლისები (თქვენი და ბავშვის) და ყველა აუცილებელი დოკუმენტი.

ტანსაცმელი

იქონიეთ თან ისეთი სამოსი, რომელიც ადვილად ირეცხება და სწრაფად შრება. აუცილებლად წაიღეთ თბილი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი თქვენთვის და თქვენი ბავშვისთის ყოველი შემთხვევისათვის.

სხვადასხვა

მოიმარაგეთ გასართობი ბავშვისათვის: სათამაშოები, საჩხაკუნოები, საქანელები, ასევე მანეჟი – ეს ყველაფერი შეიძლება დაგჭირდეთ. როგორი გზებია თქვენს დაჩასთან? თუ თქვენ პატარასთან ერთად ტყეში ან მინდორში გასეირნებას აპირებთ, უმჯობესია იქონიოთ ბავშვის ეტლი დიდი ბორბლებით. თუ ეტლი ხისტია და პატარა ბორბლები აქვს, ასეთ გზებზე იგი არ გამოგადგებათ. დასვენებისას ყველაზე არასასიამოვნო რამაა – მწერები. მათგან რომ ბავშვი დაიცვათ, დაკიდეთ ბავშვის საწოლზე დოლბანდის დამცავი, ხოლო ფანჯრებზე – ბადე. ბუზებისათვის მოსახერხებელია წებოვანი ქაღალდი, ხოლო კოღოებისათვის – ფუმიგატორები. ფრთხილად იყავით სხეულზე წასასმელი საშუალებებისაგან, ისინი შხამიანია და ბავშვებისათვის არ გამოდგება. მაგრამ ყველას არ შეუძლია ბავშვთან ერთად დასასვენებლად წასვლა. როგორ უნდა მოიქცეთ ამ შემთხვევაში? დიდი ქალაქის პირობებში ბავშვთან ერთად გარეთ გასვლა უმჯობესია ერთხელ დღეში, მაგრამ რამდენიმე საათით, რომ შესაძლებლობა გქონდეთ მიხვიდეთ უახლოეს პარკამდე და ისეირნოთ იქ, ვიდრე თითო საათით და თანაც ტრასასთან. გასეირნება კომფორტული რომ იყოს, წაიღეთ თან წიგნი, ფლეერი საყვარელი სიმღერებით, პლედი და დასაკეცი სკამი, ხილი და წვენი, და ჩაიცვით მოსახერხებელი სამოსი. მსუბუქი კომბინიზონი, პამპერსი, საკვები ბოთლით – რამდენიმე საათში მას არაფერი მოუვა, სველი ხელსახოცი, და "კენგურუ" ბავშვისათვის.

თუ არ გაქვთ შესაძლებლობა ყოველ დღე პარკში იაროთ, მაშინ ისეირნეთ დილით ადრე ან გვიან საღამოს, ხოლო შორეული გასეირნება შაბათ-კვირას მოაწყვეთ. სასეირნო ეტლი საკმაოდ მაღალი უნდა იყოს, რომ ბავშვი არ აღმოჩნდეს ერთ დონეზე გამონაბოლქვ გაზებთან.

იყიდება

ფოთში იყიდება დავით აღმაშენებლის №30 საოფისე ფართი 75 კვმ. ტელ: 592 963 311

ფოთში იყიდება ერთოთახიანი საცხოვრებელი ბინა ჯიქიას №9, 3-ე სართულზე, მოშენების პერსპექტივით. ტელ: 568 42 14 57 ჯემალი, 579 70 65 34 ანა

ფოთში იყიდება 60 კვადრატი ფართი, რომელიც როგორც საცხოვრებლად ისე საოფისედაც გამოდგება. წმინდა ნინოს 32. ტელ: 593 36 03 93

გაზეთის ხელმომწერთა საყურადღებოდ!

ერთი ნომრის ღირებულება ორგანიზაციებისთვის
1 წლით - 50 ლარი
6 თვით - 25 ლარი
3 თვით - 12,50ლარი
კარდაკარის პრინციპით გაზეთის გამოწერა მოქალაქეებისთვის
3 თვით - 6 ლარი

იკითხეთ გაზეთი მთავარი თემა სამეგრელოში

გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში" სამუშაოდ იწვევს

სამეგრელოს რეგიონიდან ყველა ასაკის მქონე ადამიანებს გაზეთის გამავრცელებლად და სარეკლამო აგენტებად კანდიდატების შერჩევა მოხდება გასაუბრებით. მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე: ფოთი წმ. ნინოს ქუჩა 3/2 ტელეფონი: 599 34 14 17

გაზეთი „მთავარი თემა სამეგრელოში" სტაქირებაგე

იწვევს სტუდენტებს, ახალგაზრდებს რომელთაც სურთ მიიღონ გამოცდილება ჟურნალისტიკაში წარმატებული სტაქიორები დასაქმდებიან გაზეთში. დაინტერესებულმა პირებმა მოგვმართეთ მისამართზე: ფოთი წმ. ნინოს ქუჩა 3/2 ტელ: 599 34 14 17

ისარგებლეთ გაზეთ "მთავარი თემა სამეგრელოში"შეღავათიანი მომსახურებით, განათავსეთ გაზეთში განცხადებები,რეკლამები, მილოცვები. ოჯახის სამგლოვიარო განცხადებები,მილოცვა- ჩვეულებრივი შრიფტით - ერთი ასო 5 თეთრი, სქელი შრიფტით - 7 თეთრი, პირველ გვერდზე - ორმაგი ფასი, სურათიანი განცხადებები: სამგლოვიარო - 15 ლარი,მილოცვა - 10 ლარი, არაპოლიტიკური რეკლამა: მესამე გვერდზე- მთლიანი გვ. (1000სმ2)-150 ლარი,ნახევარი (500 სმ2) - 75 ლარი;მეოთხედი (250სმ2)-37.50 ლარი; მეხუთე გვერდზე: მთლიანი გვ. -130 ლარი; ნახევარი - 65 ლარი; მეოთხედი 32.50 ლარი. პირველ გვერდზე რეკლამა ხუთჯერ ძვირია, ვიდრე მესამე გვერდზე,ბოლოზე- სამჯერ ძვირი ვიდრე მესამე გვერდზე. პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია. მრავალჯერად რეკლამებზე და ხელმომწერებზე გათვალისწინებულია ფასდაკლება. გაზეთის გამოწერის მსურველებმა მიმართეთ სამეგრელოს რეგიონალური გამოცემის ოფისს. ქ. ფოთი, წმ. ნინოს ქ.3/ 2 ტელ: 0(493) 22-40-50; 5(99) 34 14 17,

მთავარი თემა სამეგრელოში *თქვენი პრობლემების კვალდაკვალ*

(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.